ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№7

(გაერთიანებული - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიასთან)

2025 წელი; 26 დეკემბერი; 11:00 სთ; **ქ. თბილისი**
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ნინო ვარდოსანიძე (თავმჯდომარე)
ნიკოლოზ კახეთელიძე
ავთანდილ ცინცაძე
ალექსანდრე ასათიანი
ზურაბ ჩიკვილაძე
კახაბერ ლაბუჩიძე
გიორგი გვენეტაძე

მოწვეული პირები:

1. **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. **ვახტანგ ლომჯარია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი;
3. **სერგო ბირკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი;
4. **გიორგი კობიაშვილი** - სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი;
5. **ნინო ბაგაშვილი** - სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი;
6. **გიორგი ინაური** - შპს „თბილსერვის ჯგუფის“ იურიდიული სამსახურის უფროსი;
7. **თამარ ბერუაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
8. **ბელა ჭელიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობის წარმომადგენელი;
9. **შალვა ლომსაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი.

სხდომის თავმჯდომარე:
ნინო ვარდოსანიძე
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20–90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
2. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა, N16-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.19.36.014.780, ფართობი - 2763 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
3. „საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის „A“ კატეგორიის ნებართვის გაცემის ფასის გადახდის საქმეში არსებული დავალიანებისგან გათავისუფლების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
7. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებათა პროექტები;**
8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის“ (ს/ნ 402314170) ლიკვიდაციის დაწყების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „არომას“ (ს/ნ: 245599990) შორის 2022 წლის 23 აგვისტოს გაფორმებულ „ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, III და IV მიკრორაიონებს შორის N01.10.07.007.104 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 19000 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არომასთვის“ (ს/ნ: 245599990), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხის შეთანხმების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ჰორვატს“-ს (ს/ნ. 405349154) შორის 2021 წლის 24 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა №2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ. 01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატსისათვის“ (ს/კ. 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხის შეთანხმების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს“ (ს/ნ: 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „კორტების“ გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი რიზორთსს“ (ს/ნ 405147755) შორის 2016 წლის 13 მაისს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-308-26-19647 ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დადასტურების საკითხის მოწონების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
19. „ქ. თბილისში, ვერის პარკში მდებარე განსაზღვრული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.15.03.010.115, №01.15.03.010.114) შპს „გრატო მენეჯერისთვის“ (ს/ნ: 404920387) და შპს „სანისთვის“ (ს/ნ: 406033983) აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2012 წლის 30 აპრილის №01-4/47 ბრძანების დანართით განსაზღვრულ აღნაგობის პირობებში ცვლილებების

შეტანისა და შპს „ხულიგანას“ (ს/ნ: 404386133) მიმართ გასატარებელი რიგი ღონისძიებების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

20. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ბრბ სოლარს“ (ს/ნ. 404746673) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-3-30671 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

21. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ. 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-2-30670 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

22. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ. 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-1-30669 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

23. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ: 404391136) შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

24. „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუსი N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.001) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

25. „ქალაქ თბილისში, ვახტანგ ნინუას ქუჩა №3-3-ში მდებარე №66 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.12.12.001.414.01.01.066) და ქალაქ თბილისში, ალექსანდრე წულუკიძის ქუჩა №27-ში მდებარე №7 ბინის (საკადასტრო კოდი: №01.17.10.002.264.01.01.007) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისსაკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

26. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლება, IV მიკრო/რაიონი; ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის საცხოვრებელ რაიონს შორის მდებარე №26 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.19.36.016.011.01.01.026), ქალაქ თბილისში,სოფელი დიღომი, ვეფხისტყაოსნის ქ. №22-ში მდებარე №125 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.72.14.035.963.01.01.125) და ქალაქ თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქ. №58-ში მდებარე №22 და №112 ბინების (მშენებარე) (საკადასტრო კოდები: №01.12.12.002.078.01.01.022; №01.12.12.002.078.01.01.112) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

27. „ქალაქ თბილისში, ზესტაფონის ქ. №23ა-ში მდებარე №1 და №8 ბინების (საკადასტროკოდები: №01.12.12.001.407.01.01.001; №01.12.12.001.407.01.01.008) პირდაპირი განკარგვისფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

28. „ქ. თბილისში, აბანოს ქუჩა №11-ის მიმდებარედ 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.18.03.063.055) 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნარიყალასთვის“ (ს/ნ. 204380678) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, გადაცემის

საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

29. „ქალაქ თბილისში, ეკლესიის ქ. N1-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: 01.12.13.050.003) ტერიტორიაზე 20 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გეოენერჯი-სერვის კომპანისთვის“ (ს/ნ 406448642) იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

30. „ქ. თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩა N23-ის მიმდებარედ 74 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.11.12.013.048) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბიემესთვის“ (ს/ნ: 404895716) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

31. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**

32. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2026 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

33. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა და აპარატის პროფესიულისაჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცებისშესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**

34. „მისამართზე - ქ. თბილისი, ზურა მირაქიშვილის ქუჩა N31 (ყოფილი - ქ. თბილისი, გლდანის VII მიკრო/რაიონი, კორპუსი N6ბ-ს მიმდებარედ; გლდანის VII მიკრო/რაიონი, კორპუსი N15-ის მიმდებარედ) (საკადასტრო კოდი: N01.11.10.004.148) მდებარე ობიექტისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

35. „მისამართზე - ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი N 9ა,ბ,გ ს/კ: N01.17.12.003.255 (ამჟამად ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი N 9ა - ს/კ: N01.17.12.003.255; მოსკოვის გამზირი N 9ბ,გ - ს/კ: N01.17.12.003.276) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში შპს „მეტი დეველოპმენტის“ (ს/ნ: 404568384) და მასთან აფილირებული კომპანიების დაზარალებულ პირთა მიმართ თანხის სახით შესასრულებელი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ვახტანგ ლომჯარიამ გაერთიანებული კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით პირველ საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20–90 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, წარმოდგენილი ცვლილება გულისხმობს სპორტის დარგში მომსახურე ეკონომიკური აგენტებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი სუბიექტებისათვის დადგენილი ქონების გადასახადის შეღავათიანი განაკვეთის ვადის გაგრძელებას 2025 წლის 1 იანვრიდან 2028 წლის 1 იანვრამდე და მის გავრცელებას 2025 წლის 1 იანვრიდან 2028 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ საგადასახადო ვალდებულებებზე.

მომხსენებლის განმარტებით, დადგენილების პროექტის მომზადება განპირობებულ იქნა სპორტის დარგში მომსახურე ეკონომიკური აგენტებისა და ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი სუბიექტების მიერ განხორციელებული საქმიანობის სპეციფიკით, მაღალი საბალანსო ნარჩენი ღირებულების მქონე ქონების არსებობითა და დაბალი მომგებიანობით.

მოხსენების მიწურულს, ვახტანგ ლომჯარიამ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან. თუმცა, გარკვეულ გავლენას მოახდენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. ამასთანავე, დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე. **მომხსენებელმა აქვე დასძინა,** რომ დადგენილების ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, ხოლო მისი მოქმედება გავრცელდება 2025 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

გადაწყვიტეს:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ნინო ბაგაშვილმა გაერთიანებული კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეორე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა, N16-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 2763 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=3.1-დან კ-2=4.6-მდე, რაც გულისხმობს არსებულ მოცულობაზე 4-4 (ოთხ-ოთხი) სართულის დამატებასა და ორი 12 (თორმეტი) სართულიანი შენობა-ნაგებობის განთავსებას. ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ნინო ბაგაშვილის განმარტებით, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), ხოლო მცირე ნაწილზე - სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთზე გავრცელებული ფუნქციური ზონებიდან არცერთი არ შეადგენს მიწის ნაკვეთის საერთო ფართობის 3/4-ს, დაცულ უნდა იქნას საპროექტო მიწის ნაკვეთზე გავრცელებული ფუნქციური ზონების რეგლამენტები.

ნინო ბაგაშვილის მითითებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 12 დეკემბრის ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები კონკრეტული ფუნქციური ზონების (სზ-6; სსზ-2) პარამეტრებით: კ-2=2.5; კ-2=4.6.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 22 დეკემბრის ექსპერტიზის დასკვნაზე, რომლის მიხედვით, **საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის გასაშუალოებული კოეფიციენტის (კ-2=3.1) გათვალისწინებით, 2025 წლის 18 დეკემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 4 100 292 ლარს,** ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 19 დეკემბრის წერილის თანახმად, **საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 3.1-დან 4.6-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 1 984 012.26 ლარს.**

მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=3.1-დან კ-2=4.6-მდე, რაც გულისხმობს არსებულ მოცულობაზე 4-4 (ოთხ-ოთხი) სართულის დამატებასა და ორი 12 (თორმეტი) სართულიანი შენობა-ნაგებობის განთავსებას;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით

შესაბამისი ფასის - 1 984 012.26 ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე;

- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთან, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას;
- იმ შემთხვევაში, თუ ნაწარმოებია მშენებლობა, დაინტერესებულმა პირმა მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებელი იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე.
- განკარგულების პროექტის თანახმად, ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-6 პუნქტში ტექნიკური ხასიათის ხარვეზის გასწორების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მესამე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის „A" კატეგორიის ნებართვის გაცემის ფასის გადახდის საქმეში არსებული დავალიანებისგან გათავისუფლებას.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, 2025 წლის 17 დეკემბერს მიღებულ იქნა „ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ" საქართველოს №1288-IVმს-XIმპ კანონი, რომლის მე-3 მუხლის შესაბამისად პირი გათავისუფლდა „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის, სანებართვო მოწმობის ფორმის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში „A" კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის – ტაქსის (M1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილების და პირობების, მომხმარებლის პირადი სივრცის უზრუნველყოფის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის

განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებით განსაზღვრული საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის „A“ კატეგორიის ნებართვის გაცემის ფასის გადახდის საქმეში არსებული დავალიანებისგან, რომლის საფუძველზეც დაინტერესებულ პირს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135[4] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ადმინისტრაციული სახდელი 2025 წლის 1 ნოემბრამდე დაედო.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ ზემოაღნიშნული კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაევალა შესაბამისი სამართლებრივი აქტის მიღება, რომლის საფუძველზეც საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის „A“ კატეგორიის ნებართვის მფლობელი გათავისუფლდება ამ ნებართვის გაცემის ფასის გადახდის საქმეში არსებული დავალიანებისგან. აღნიშნული მიზნით, ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ დაევალება „A“ კატეგორიის ტაქსის ნებართვის მფლობელის მომხმარებლის პირად სივრცეში ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებული ღონისძიების გატარება, კერძოდ 2025 წლის პირველ ოქტომბრამდე დარიცხული ნებართვის გაცემის ფასის დავალიანებისგან გათავისუფლება.

მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღებით თბილისის ბიუჯეტში არ ჩაირიცხება საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის „A” კატეგორიის ნებართვის გაცემის ფასი, რომელიც შედგენს დაახლოებით 1 766 299 ლარს და წარმოადგენს დაახლოებით 2000 ნებართვის მფლობელის დავალიანებას. **მომხსენებელმა აქვე დასძინა,** რომ დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრა მისი გამოქვეყნების დღე.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა დადგენილების პროექტის სამართლებრივი საფუძვლების დაზუსტებისა და დადგენილების პრეამბულის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეოთხე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.**

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ზემოაღნიშნული დადგენილების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დანართი 1-ის შენიშვნის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიენიჭა უფლებამისილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - განკარგულებით, შესაბამისი შეზღუდული ვადით, განახორციელოს ამ მარშრუტების კორექტირება ან განსაზღვროს დროებითი მარშრუტი/მარშრუტები ან განახორციელოს ცვლილება მარშრუტზე ჩართული ავტობუსების რაოდენობაში.

მომხსენებლის მითითებით, მგზავრთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ გამოიცა განკარგულებები, რომლებიც ითვალისწინებს შემდეგს:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი განცხადებებით მთისძირის ქუჩის მოსახლეობა ითხოვდა ისნის რაიონში, მთისძირის ქუჩის მიმართულებით სატრანსპორტო მომსახურების განხორციელებას და ამ მიზნით ავტობუსის (M2 კატეგორია) №567 მარშრუტში ცვლილების შეტანას. შესაძლებლობიდან გამომდინარე, ცვლილება შევიდა ავტობუსის (M2 კატეგორია) №567 მარშრუტში და გიორგი ღვინიაშვილის ქუჩიდან მოძრაობა გააგრძელა მთისძირის ქუჩის მიმართულებით. მარშრუტის რაოდენობებში და სამუშაო განრიგში ცვლილებები არ შესულა.
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებებში შოთა ნადირაშვილის ქუჩის მოსახლეობა ითხოვდა სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესებას და ამ მიზნით ავტობუსის (M2 კატეგორია) №407 მარშრუტში ცვლილებების შეტანას. გამოიკვეთა საშუალება და ავტობუსის (M2 კატეგორია) №407 მარშრუტზე სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით გათვალისწინებულ იქნას დამატებითი ერთი ერთეული მოძრავი შემადგენლობა. შესაბამისად, შეიცვალა მარშრუტის სამუშაო განრიგიც. იმის გათვალისწინებით, რომ ავტობუსის (M2 კატეგორია) №407 მარშრუტი შედის ლოტი №2-ში, ამავე ლოტის ავტობუსის (M2 კატეგორია) №532 მარშრუტის მაქსიმუმით განსაზღვრულ რაოდენობას (16 ერთეული) მოაკლდა ერთი ერთეული და დაემატა ავტობუსის (M2 კატეგორია) №407 მარშრუტს და გახდა 6 (ექვსი) ერთეული, ნაცვლად 5-ისა (ხუთი).
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულ განცხადებებში მოსახლეობა ითხოვდა გივი ამილახვრის, ვახტანგ ფირცხალავას ქუჩების და სამპანტების I შესახვევის მიმართულებით სატრანსპორტო მომსახურების განხორციელებას; ასევე, მოსახლეობა ითხოვდა კრწანისის ქუჩის მიმართულებით სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესებას და ამ მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტებში ცვლილებების შეტანას. რესურსის ფარგლებში განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებები.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მგზავრთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, მითითებული ცვლილებები ასახულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილების პირველი პუნქტის „ა“, ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტებით დამტკიცებულ დანართებში N1, N2 და N3.

მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა დასკვნის სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს

ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება 2026 წლის 1 იანვარი.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა დადგენილების პროექტის მეორე პუნქტში დადგენილების ამოქმედების ვადის სწორად მითითებისა და ტექნიკური ხარვეზის გასწორების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეხუთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილებას.**

ნინო ბაგაშვილის მიერ განიმარტა, რომ მგზავრთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით დღის წესრიგში დადგა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა და მასთან ერთად მარშრუტების მოძრაობაში გარკვეული კორექტივების განხორციელება. აღნიშნულის გათვალისწინებით კი მომზადდა დადგენილების პროექტი, რომელიც მომხსენებლის თქმით, ითვალისწინებს შემდეგი სახის ცვლილებებს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტების დანართი 1-ის შენიშვნის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიენიჭა უფლებამისილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - განკარგულებით, შესაბამისი შეზღუდული ვადით, განახორციელოს ამ მარშრუტების კორექტირება ან განსაზღვროს დროებითი მარშრუტი/მარშრუტები ან განახორციელოს ცვლილება მარშრუტზე ჩართული ავტობუსების რაოდენობაში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მგზავრთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ გამოიცა განკარგულებები, რომლებიც ითვალისწინებდა შემდეგს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი განცხადებებით, ბესარიონ ჭიჭინაძის და გუმათჰესის ქუჩების, ასევე მოსკოვის გამზირზე მცხოვრები მოქალაქეები ითხოვდნენ შოთა რუსთაველის გამზირის და საბურთალოს მიმართულებით სატრანსპორტო მომსახურების განხორციელებას. იმის გათვალისწინებით, რომ მ/წლის პერიოდში უკვე შემოყვანილი იყო M3 კატეგორიის 124 ერთეული შესახსრებული ავტობუსი, დღის წესრიგში დადგა ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტებში ცვლილებების შეტანა, კერძოდ: ავტობუსის (M3 კატეგორია) №305 მარშრუტზე ჩართული იქნა შესახსრებული ავტობუსები და მარშრუტის მოძრაობა ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩიდან გაგრძელდა საბურთალოს მიმართულებით რუსთაველის გამზირის, მერაბ კოსტავას ქუჩის, კონსტანტინე გამსახურდიას გამზირის, პეკინის გამზირის, ვაჟა ფშაველას გამზირის გავლით ივანე ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის X კორპუსამდე. აღნიშნულ შემთხვევაში გამოყენებული იქნა შესახსრებული ავტობუსებისთვის წინასწარ დადგენილი დერეფნები, სადაც გათვალისწინებულია 18-მეტრიანი ავტობუსების მოძრაობა. შეიცვალა მოძრაობის ინტერვალი;

ნინო ბაგაშვილის თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შესული განცხადებებით, ემირ ბურჯანაძის ქუჩაზე და ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე მცხოვრები მოქალაქეები ითხოვდნენ ქეთევან დედოფლის და აკაკი წერეთლის გამზირის მიმართულებით სატრანსპორტო მომსახურების განხორციელებას, ასევე დიდ დიღომში, დემეტრე თავდადებულის ქუჩის მცხოვრები მოქალაქეები ითხოვდნენ სატრანსპორტო მომსახურების განხორციელებას მ/ს ,,დიდუბის" მიმართულებით. იმის გათვალისწინებით, რომ მ/წლის პერიოდში უკვე შემოყვანილი იყო M3 კატეგორიის 124 ერთეული შესახსრებული ავტობუსი, დღის წესრიგში დადგა ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტებში ცვლილებების შეტანა, კერძოდ: ავტობუსის (M3 კატეგორია) №306 მარშრუტზე ჩართული იქნა შესახსრებული ავტობუსები და მარშრუტის მოძრაობა ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩიდან გაგრძელდა ქეთევან დედოფლის გამზირის, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის და ემირ ბურჯანაძის ქუჩის მიმართულებით, ხოლო აკაკი ბელიაშვილის ქუჩიდან დიდი დიღომში, ფარნავაზ მეფის გამზირისა და დემეტრე თავდადებული ქუჩის მიმართულებით. აღნიშნულ შემთხვევაში გამოყენებული იქნა შესახსრებული ავტობუსებისთვის წინასწარ დადგენილი დერეფნები, სადაც გათვალისწინებულია 18-მეტრიანი ავტობუსების მოძრაობა. შეიცვალა მოძრაობის ინტერვალი;

მომხსენებლის განმარტებით, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ განცხადებებით, სამგორის რაიონის, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩის და მოსკოვის გამზირის მოსახლეობა ითხოვდა სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესებას მ/ს ,,ვარკეთილის" მიმართულებით. იმის გათვალისწინებით, რომ ავტობუსის (M3 კატეგორია) N295 მარშრუტი ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩიდან მოსკოვის გამზირის გავლით მოძრაობდა მ/ს ,,ვარკეთილის" მიმართულებით, აღნიშნულ მარშრუტზე, სადაც ჩართული იყო M3 კატეგორიის ,,isuzus" მარკის 8-მეტრიანი ავტობუსები, ჩანაცვლდა 10,5 მეტრიანი (MAN-A47) ავტობუსებით, რომლებიც გამოთავისუფლდა ავტობუსების (M3 კატეგორია) №305 და №306 მარშრუტებზე 18-მეტრიანი ავტობუსების ჩანაცვლებით. მოძრაობის ინტერვალი დარჩა იგივე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებებში, მოსახლეობა ითხოვდა სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესებას დედაქალაქში მომუშავე ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტებზე. პირველი ეტაპისთვის, ავტობუსის (M3 კატეგორია) №295 მარშრუტზე განხორციელებული ცვლილების ფარგლებში გამოთავისუფლებული M3 კატეგორიის ,,isuzus" მარკის 8-მეტრიანი ავტობუსები სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით

გადანაწილდა ავტობუსების (M3 კატეგორია) № 329, 331, 359, 366, 391 მარშრუტებზე და შეიცვალა მოძრაობის ინტერვალები;

ქალაქ თბილისში M3 კატეგორიის შესახსრებული სატრანსპორტო საშუალებებით გარკვეული მარშრუტების დაკომპლექტებიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მგზავრთნაკადების დატვირთვების გადანაწილების გათვალისწინებით, ავტობუსების (M3 კატეგორია) № 311, 320, 323, 351, 387, 388 მარშრუტებზე განხორციელდა მოძრავი შემადგენლობის რაოდენობებში კორექტირება, ხოლო ავტობუსების (M3 კატეგორია) №379, 386, 394 მარშრუტებზე საშუალო ტევადობის ნაცვლად განისაზღვრა დიდი ტევადობის ავტობუსები და მასთან ერთად მოძრავი შემადგენლობის რაოდენობები; ასევე, ავტობუსის (M3 კატეგორია) №336 მარშრუტზე, დიდი ტევადობის რაოდენობების ნაწილში შევიდა ცვლილება.

იმის გათვალისწინებით, რომ აბასთუმნის ქუჩაზე გარკვეული გარემოებიდან გამომდინარე შეიცვალა მოძრაობის ორგანიზება, საჭიროა: ავტობუსის (M3 კატეგორია) №327 მარშრუტს სადგურის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე შეეცვალოს მოძრაობის მიმართულება და აკაკი წერეთლის გამზირიდან მოძრაობა გააგრძელოს გიორგი ცაბაძის ქუჩის მიმართულებით, შემდეგ დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის გამზირის გავლით დაუკავშირდეს თევდორე მღვდლის ქუჩას და შევიდეს დადგენილ გაჩერებაზე; უკუ მიმართულებისას, აბასთუმნის ქუჩის ნაცვლად იმოძრაოს თევდორე მღვდლის ქუჩით და გიორგი ცაბაძის ქუჩით დაუკავშირდეს აკაკი წერეთლის გამზირს და იმოძრაოს დადგენილი სქემით.

იმის გათვალისწინებით, რომ გარკვეულ ქუჩებს და გამზირებს შეეცვალათ სახელდებები, შესაბამისი ცვლილებები შევიდა იმ მარშრუტებში, რომლებსაც თავიანთ გზასავალზე უხდებათ ახალი სახელდებით განსაზღვრულ გზებზე მოძრაობა, კერძოდ:

- სანდრო ახმეტელის ქუჩას გადაერქვა და ამჟამად ჰქვია დევი აბაშიძის ქუჩა;
- აკაკი ვასაძის ქუჩას გადაერქვა და ამჟამად ჰქვია სანდრო ახმეტელის ქუჩა;
- ტეხურას ქუჩას გადაერქვა და ამჟამად ჰქვია ვლადიმერ ბახუტაშვილის ქუჩა;
- თიანეთის გზატკეცილის ნაწილს გადაერქვა და ამჟამად ჰქვია ლევან კბილაშვილის ქუჩა;
- ვარკეთილის ზ/პლატოზე უსახელო ქუჩას ამჟამად ჰქვია დიმიტრი ქააძის ქუჩა;
- გიორგი აბაშვილის ქუჩის ნაწილს გადაერქვა და ამჟამად ჰქვია ლევან ჩოხელის ქუჩა;
- ნუცუბიძის მე-5 მ/რაიონში უსახელო ქუჩას ამჟამად ჰქვია ავთო ვარაზის I ჩიხი;
- ბესარიონ ქებურიას დას. I და III ქუჩებს გადაერქვა და ამჟამად ჰქვია იზანი ცერცვაძის ქუჩა;
- მეფე მირიანის ქუჩას გადაერქვა და ამჟამად ჰქვია მირიან მეფის ქუჩა;
- ჯუმბერ ლეჟავას I შესახვევს გადაერქვა და ამჟამად ჰქვია ბიძინა ჩოლოყაშვილის ქუჩა;
- გლდანისხევის ქუჩას გადაერქვა და ამჟამად ჰქვია მიხეილ გამკაძის ქუჩა;
- შოთა მიქატაძის ქუჩას გადაერქვა და ამჟამად ჰქვია სერგო კოტრიკაძის ქუჩა.

მომხსენებლის მიერ შეჯამების სახით ითქვა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მგზავრთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, დღის წესრიგში დადგა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა და მასთან ერთად მარშრუტებში გარკვეული კორექტივების განხორციელება, რის გამოც შემუშავდა წარმოდგენილი პროექტი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოზე წარსადგენად.

გადაწყვიტეს:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეექვსე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვის წესის დამტკიცებას.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ავარიული საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვის პროცედურას, განსაზღვრავს შესაბამის ორგანოს - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდს", რომელიც უზრუნველყოფს განცხადებების მიღებას, დოკუმენტაციის გადამოწმებასა და პროცესის ორგანიზებას. ავარიული საცხოვრებელი სახლის გამოსყიდვის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა. გამოსყიდული უძრავი ქონება დარეგისტრირდება მუნიციპალიტეტის საკუთრებად და შესაძლებელი იქნება მისი განკარგვა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ წესი გავრცელდება მხოლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში მდებარე ავარიულ საცხოვრებელ სახლებზე, მათ შორის, უძრავ ძეგლებზეც. პროგრამა არ გავრცელდება ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებზე.

სერგო ბირკაძის განმარტებით, წესის მიზნებისთვის, ავარიულ საცხოვრებელ სახლად ჩაითვლება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი შენობა-ნაგებობა (გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა). ამასთანავე, შენობა-ნაგებობა ან/და მისი მზიდი კონსტრუქციული ელემენტები უნდა იყოს ავარიული და ავარიულობის ხარისხი მიეკუთვნებოდეს V ან IV კატეგორიას. გარდა ამისა, შენობის ავარიულობის ხარისხი უშუალოდ საფრთხეს უნდა უქმნიდეს ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას და ექვემდებარებოდეს დემონტაჟს ან უკვე განხორციელებული უნდა იყოს დემონტაჟი.

მომხსენებელმა გამოსყიდვის მთავარ წინაპირობებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ გამოსყიდვის პროცედურის დაწყებისთვის აუცილებელია ყველა მესაკუთრის თანხმობა; დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა ავარიულობის ხარისხის (V ან IV კატეგორია) შესახებ; გამოსასყიდი ობიექტი უნდა იყოს უფლებრივად უნაკლო (ყადაღის, იპოთეკის და ა.შ. გარეშე). უფლებრივი შეზღუდვის არსებობის შემთხვევაში, მისი გამოსყიდვა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ გამოსასყიდი ფასი დაფარავს შეზღუდვის მოხსნას. ამასთანავე, შენობა-ნაგებობის დემონტაჟმა არ უნდა მოახდინოს ზეგავლენა მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობაზე (რაც უნდა დადასტურდეს დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით). იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე ზეგავლენა, გამოსყიდვის პროცესში სრულად უნდა ჩაერთოს მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე არსებული ყველა უძრავი ქონება, მიუხედავად მათი ავარიულობის ხარისხისა (ამასთანავე, ამ შემთხვევაშიც საჭირო იქნება ყველა

მესაკუთრის თანხმობა გამოსყიდვაზე. ანალოგიური პირობები იმოქმედებს ყოველ შემდგომ მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე).

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ როცა მიწაზე ერთზე მეტი შენობა-ნაგებობაა განთავსებული, გამოსყიდვის პროცესი წარიმართება იმ შემთხვევაშიც, თუ ერთი საცხოვრებელი შენობა-ნაგებობის ავარიულობის ხარისხი მაინც არის V ან IV კატეგორია.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გამოსყიდვას ექვემდებარება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული საკუთრების ყველა ობიექტი (რეგისტრირებული ბინა, სარდაფი (ნახევარსარდაფი), სხვენი, ტერასა ან სხვა რეგისტრირებული ფართი, თუმცა გარკვეული პირობებით), გარდა შემდეგი უძრავი ქონებისა: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საერთო ქონება (მათ შორის, იმ შემთხვევაში, თუ იგი არის/გახდა ინდივიდუალური საკუთრება); ავტოფარეხი/ავტოსადგომი; ამ წესის ამოქმედებამდე საჯარო რეესტრის მიერ რეგისტრირებული სხვენი და ტერასა, თუ იგი არ არის კეთილმოწყობილი და არ გამოიყენება საცხოვრებლად; ამ წესის ამოქმედების შემდეგ საჯარო რეესტრის მიერ დარეგისტრირებული სხვენი და ტერასა.

სერგო ბირკაძე უძრავი ქონების შეფასების საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ რეგისტრირებული ბინა შეფასდება, როგორც საცხოვრებელი ფუნქციის ობიექტი; რეგისტრირებული სარდაფი (ნახევარსარდაფი), სხვენი, ტერასა ან სხვა ფართი, როგორც საცხოვრებელი ფუნქციის ობიექტი, შეფასდება იმ შემთხვევაში, თუ იგი კეთილმოწყობილია და ფაქტობრივად გამოიყენება საცხოვრებლად (საცხოვრებლად გამოყენების ფაქტი დადასტურებული უნდა იყოს მუნიციპალიტეტის შესაბამისი რაიონული გამგეობის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით და ამხანაგობის ყველა წევრის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით); რეგისტრირებული სარდაფი (ნახევარსარდაფი) ან სხვა ფართი (გარდა სხვენისა და ტერასა), თუ იგი არ გამოიყენება საცხოვრებლად, შეფასდება არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, საბაზრო ღირებულებით.

მომხსენებლისვე მითითებით, საკუთრების გამოსყიდვა განხორციელდება სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ დადგენილი საბაზრო ღირებულების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მესაკუთრეების კანონიერი ინტერესების დაცვას.

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღებისთვის საჭირო ხარჯები გათვალისწინებული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის და შემდგომი წლების ბიუჯეტში, შესაბამისი პროგრამით/ქვეპროგრამით. ამასთანავე, დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე; ხოლო დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება 2026 წლის პირველი იანვარი.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი გვენეტაძის მოსაზრებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა უშუალოდ არ უნდა იყოს ჩართული კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვის პროცესში და არ უნდა განსაზღვრავდეს გამოსყიდვის კრიტერიუმებსა და პირობებს, არამედ უნდა ასრულებდეს სამართლიანი არბიტრის როლს ბიზნეს სექტორსა და დაინტერესებულ პირებს შორის.

გიორგი გვენეტაძის მიერ გამოთქმული მოსაზრების საპასუხოდ, სერგო ბირკაძემ აღნიშნა, რომ დღეისათვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში უკვე მოქმედებს რამდენიმე პროგრამა ავარიული საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების მიზნით და შესაბამისი კონკრეტული პროექტებიც ხორციელდება, მათ შორის ბიზნეს სექტორის ჩართულობით; კერძოდ, როდესაც

ბიზნესის წარმომადგენლებსა და ავარიული სახლების მესაკუთრეებს შორის შეთანხმების საფუძველზე ხორციელდება ჩანაცვლების ღონისძიებები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ განსაზღვრული ხელშემწყობი ღონისძიებების გათვალისწინებით. შესაბამისად, წინამდებარე პროგრამა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მხრიდან დამატებით შეთავაზებას ავარიული სახლების მესაკუთრეთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, რაც თავისთავად გამორიცხავს კერძო საკუთრებაში ჩარევას.

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, თავისი მოსაზრება გამოთქვა ასევე ზურაბ ჩიკვილაძემ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების გარეშე, ბიზნეს სექტორის დაინტერესება ავარიული სახლების ჩანაცვლების მიმართ ნაკლებია. აღნიშნულ პრობლემას თან ერთვის ის გარემოებაც, რომ ხშირ შემთხვევაში, დაინტერესებულ პირებს არ სურთ ჩანაცვლების სამუშაოების განხორციელების პერიოდში, ქირის სახით დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა. შესაბამისად, წარმოდგენილი პროგრამა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როგორც ისტორიული იერსახის შენარჩუნების, ასევე მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინების კუთხით. ამასთანავე, მისი განხორციელება ასევე ხელს შეუწყობს ბიზნეს სექტორის ჩართულობას, ვინაიდან გამოსყიდვის შემდგომ მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები მომზადდება საინვესტიციოდ და განხორციელდება მათი განკარგვა კანონმდებლობის შესაბამისად. **ზურაბ ჩიკვილაძემ აქვე ყურადღება გაამახვილა** წესით გათვალისწინებული ავარიული სახლების საფრთხის შემცველ ბუნებაზე, რაც მუნიციპალიტეტის მხრიდან დროულ რეაგირებას საჭიროებს. შესაბამისად, წარმოდგენილი პროგრამა უზრუნველყოფს აღნიშნული რისკის თავიდან არიდებას.

ნიკოლოზ კახეთელიძემ ისაუბრა წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების მნიშვნელობაზე და ასევე მიზანშეწონილად მიიჩნია, დაზუსტდეს წესში გამოყენებული ტერმინები.

ნიკოლოზ კახეთელიძის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციის გათვალისწინებით, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, დადგენილების პროექტით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვის წესის“ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტსა და მე-8 მუხლის მე-6 პუნქტში გასწორდეს ტერმინოლოგიური და რედაქციული ხასიათის ხარვეზები და აღნიშნული ჩამოყალიბდეს სათანადო რედაქციით. აღნიშნული რეკომენდაცია გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. სერგო ბირკაძემ და ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნეს კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეშვიდე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებათა პროექტები, რომლებიც ითვალისწინებს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებში“ (შემდგომში - „განაშენიანების რეგულირების წესები“) ცვლილებების განხორციელებას.

საკითხის წარდგენა დაიწყო სერგო ბირკაძემ და აღნიშნა, რომ განაშენიანების რეგულირების წესების მოქმედი რედაქციით არ იყო გათვალისწინებული შესაბამისი ნორმა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ავარიული საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვის შედეგად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოსული მიწის ნაკვეთების განვითარებას. შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, განაშენიანების რეგულირების წესების 21-ე მუხლის მე-2 პუნქტს დაემატება „ლ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, კ-1 და კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლების ერთჯერადად გადამეტება დასაშვები იქნება კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვის შედეგად მუნიციპალიტეტის საკუთრებად წარმოშობილი მიწის ნაკვეთების განვითარების მიზნით. **მომხსენებელმა აქვე დასძინა,** რომ ზემოაღნიშნული ქვეპუნქტის მოქმედება არ გავრცელდება კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლებსა და ძეგლების ტერიტორიაზე.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მომზადება განპირობებულ იქნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შემუშავებით.

სერგო ბირკაძემ შემაჯამებლად აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება 2026 წლის 1 იანვარი.

საკითხის წარდგენა განაგრძო ნინო ბაგაშვილმა და კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო განაშენიანების რეგულირების წესებში განსახორციელებელი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც ეხება განაშენიანების რეგულირების წესების 16[3] მუხლით დადგენილ მაკომპენსირებელ ღონისძიებებს შემდეგი ფუნქციური ზონების: სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1), სამრეწველო ზონა 2-ის (ს-2), სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1), სპეციალური ზონა 2-ის (სპეცზ-2) და სპეციალური ზონა 3-ის (სპეცზ-3), სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1), სატრანსპორტო ზონა 2-ის (ტზ-2), სატრანსპორტო ზონა 3-ის (ტზ-3) ცვლილების შემთხვევებზე შემდეგი ფუნქციური ზონებით: საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3), საცხოვრებელი ზონა 4-ით (სზ-4), საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5), საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ან საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ით (სსზ-3) ცვლილებისთვის.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს მაკომპენსირებელი ღონისძიების ოდენობის გაანგარიშების ცვლილებას, კერძოდ, ყველა მიწის ნაკვეთისთვის, როგორც კერძო საკუთრებაში არსებული, ისე მუნიციპალიტეტის/სახელმწიფოს მიერ პრივატიზებული მიწის ნაკვეთებისთვის ზემოაღნიშნული ფუნქციური ზონების ცვლილებისთვის მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვრება შესაბამისი ფასის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გადახდა, რომელიც შეადგენს მიწის ნაკვეთის არსებული ფუნქციური ზონით საბაზრო ღირებულებასა და მოთხოვნილი ფუნქციური ზონით საბაზრო ღირებულებას შორის არსებული სხვაობის 100%-ს.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული დანაწესიდან გამონაკლისის სახით, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1), სატრანსპორტო ზონა 2-ის (ტზ-2) და სატრანსპორტო ზონა 3-ის (ტზ-3) ფუნქციური ზონის ცვლილებისას გადასახდელი ფასი განისაზღვრება არსებული ფუნქციური ზონის საბაზრო ღირებულებისა და მოთხოვნილი ფუნქციური ზონის საბაზრო ღირებულებას შორის არსებული სხვაობის 30%-ის ოდენობით.

ნინო ბაგაშვილმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ იმ მიწის ნაკვეთებზე, რომლებზეც ადმინისტრაციული წარმოება დაწყებულია აღნიშნული დადგენილების ამოქმედებამდე და მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება, გავრცელდება წარმოდგენილი ცვლილებით გათვალისწინებული რეგულირება; ხოლო იმ მიწის ნაკვეთებზე, რომლებზეც ადმინისტრაციული წარმოება დაწყებულია ამ დადგენილების ამოქმედებამდე და მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება და ამასთანავე, ამ მიწის ნაკვეთებზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება, გავრცელდება ამ დადგენილების ამოქმედებამდე მოქმედი განაშენიანების რეგულირების წესების 16[3] მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ წარმოდგენილი ცვლილების მიზანია პრაქტიკაში არსებული შემთხვევებიდან გამომდინარე, განაშენიანების რეგულირების წესების სრულყოფა.

მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა დასკვნის სახით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან. ამასთანავე, დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა სერგო ბირკაძის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლით გათვალისწინებულ, განაშენიანების რეგულირების წესების 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტში ტექნიკური ხასიათის ხარვეზის გასწორების რეკომენდაციაზე, რომელიც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

დადგენილებათა პროექტებთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მერვე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის (შემდგომში - „წესი“) დამტკიცებას.**

მომხსენებლის მითითებით, ზემოაღნიშნული წესი ყოველწლიურად მტკიცდება და განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში დანგრეული ან საცხოვრებლად გამოუსადეგარი სახლების

მაცხოვრებელთა, ასევე მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე უსახლკაროდ დარჩენილ მოქალაქეთა აუცილებელი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ქირის კომპენსაციის გაცემის პირობებს და პროცედურებს.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სიახლეს წარმოადგენს წესის მე-11 მუხლი, რომლის თანახმად, კომპენსაციის შეწყვეტის საფუძველი გახდება კომპენსაციის მიმღები პირის მიერ, მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ჩანაცვლებაზე უარის თქმა ჩანაცვლების იმ პროგრამების ფარგლებში, რომლებიც ამავე მუხლით არის განსაზღვრული.

სერგო ბირკაძის განმარტებით, კომპენსაციის მიმღებ პირს, კომპენსაცია შეუწყდება ჩანაცვლების რომელიმე პროგრამაში მონაწილეობაზე უარის თქმის გამოვლენის (წერილობითი ან ზეპირი ფორმით, ან უმოქმედობით) კალენდარული თვის მე-7 თვიდან. უარის გამოვლენის კალენდარული თვე არ ჩაითვლება ვადის ათვლაში. იმ შემთხვევაში, თუ კომპენსაციის მიმღები პირი, აღნიშნული ვადის გასვლამდე განაცხადებს თანხმობას ჩანაცვლების პროგრამაში მონაწილეობაზე, ხოლო ამის შემდეგ ისევ განაცხადებს უარს ჩანაცვლების პროგრამაში მონაწილეობაზე, მას კომპენსაციის მიღება შეუწყდება დაუყოვნებლივ, ამ უარის გამოვლენისთანავე.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ ზემოაღნიშნული საფუძვლებით პირისათვის კომპენსაციის შეწყვეტის შემთხვევაში, ამ პირს კომპენსაცია მიეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბოლოოდ დაიწყო ჩანაცვლების პროგრამის დადგენილი წესის შესაბამისად განხორციელება და ეს პროგრამა ითვალისწინებს მესაკუთრეებისათვის კომპენსაციის გაცემას. ამასთანავე, თუ პირი უარს განაცხადებს წესის მე-11 მუხლით გათვალისწინებული ჩანაცვლების რომელიმე პროგრამაში მონაწილეობაზე და ამის შემდეგ მას გაუჩნდება ამ წესის შესაბამისად კომპენსაციის მიღების საფუძველი, მას არ მიეცემა კომპენსაცია მანამ, სანამ არ განაცხადებს თანხმობას ჩანაცვლების პროგრამაში მონაწილეობაზე.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ კომპენსაციის შეწყვეტის ზემოაღნიშნული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, შესაბამის გამგეობაში გამგებლის ბრძანებით შექმნილი საკონსულტაციო-სათათბირო ორგანოს – საბჭოს ხელმძღვანელი გამგებლის სახელზე ადგენს მოხსენებით ბარათს და გამგებელი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას კომპენსაციის შეწყვეტის შესახებ.

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შემაჯამებლად აღნიშნა, რომ პროექტის მიღებისთვის საჭირო ხარჯები გათვალისწინებული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესაბამისი ქვეპროგრამით. დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე; ხოლო დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება 2026 წლის პირველი იანვარი. ამასთანავე, დადგენილების პროექტის მე-2 მუხლით ძალადაკარგულად გამოცხადდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №50-100 დადგენილება.

გადაწყვიტეს:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეცხრე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის" 2026 წლის 1 იანვრიდან ლიკვიდაციის დაწყების საკითხზე.**

მომხსენებლის განმარტებით, „ადამიანის სისხლისა და მისი კომპონენტების ხარისხისა და უსაფრთხოების შესახებ" კანონში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემის ფარგლებში შეიქმნა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელსაც გადაეცა „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის" უფლებამოსილებები. შესაბამისად, სწორედ აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა წინამდებარე პროექტის წარმოდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. გაიოზ თალაკვაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეათე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცებას.**

მომხსენებლის განმარტებით, „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, 2026 წელს საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების განსაზღვრის მიზნით საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 1600 ლარის ოდენობით, შესაბამისად ორგანიზაციის საშტატო განრიგით განსაზღვრული კოეფიციენტი უნდა გამრავლდეს საბაზო თანამდებობრივ სარგოზე - 1600 ლარზე და აღნიშნულის გათვალისწინებით განისაზღვროს მოხელის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო. წინამდებარე ცვლილებების გათვალისწინებით, მომზადდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოხსენების მიწურულს, გაიოზ თალაკვაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან, საბაზო თანამდებობრივი სარგოს ცვლილებით გამოწვეული დამატებითი რესურსი გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში. დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და

ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე; ხოლო დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება 2026 წლის პირველი იანვარი. ამასთანავე, დადგენილების პროექტის მე-2 მუხლით ძალადაკარგულად გამოცხადდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №50-101 დადგენილება.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა დადგენილების პროექტის სამართლებრივი საფუძვლების დაზუსტებისა და დადგენილების პრეამბულის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. გაიოზ თალაკვაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთერთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცებას და მოხელის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრას.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, 2026 წელს საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების განსაზღვრის მიზნით საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 1600 (ერთიათასექვსასი) ლარის ოდენობით, შესაბამისად ორგანიზაციის საშტატო განრიგით განსაზღვრული კოეფიციენტი უნდა გადამრავლდეს საბაზო თანამდებობრივ სარგოზე 1600 (ერთიათასექვსასი) ლარზე და აღნიშნულის გათვალისწინებით განისაზღვროს მოხელის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო. წინამდებარე ცვლილებების გათვალისწინებით, მომზადდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოხსენების მიწურულს, გაიოზ თალაკვაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან, საბაზო თანამდებობრივი სარგოს ცვლილებით გამოწვეული დამატებითი რესურსი გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში. დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე; ხოლო დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება 2026 წლის პირველი იანვარი. ამასთანავე, დადგენილების პროექტის მე-2 მუხლით ძალადაკარგულად გამოცხადდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N50-102 დადგენილება.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა დადგენილების პროექტის სამართლებრივი საფუძვლების დაზუსტებისა და დადგენილების პრეამბულის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. თამარ ბერუაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთორმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცებას:**

ა) „დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №1);

ბ) „გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №2);

გ) „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №3);

დ) „ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №4);

ე) „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №5);

ვ) „ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №6);

ზ) „გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტებისა და კვლევების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №7)

თ) „სახსრების ენდოპროთეზირების დაფინანსების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №8);

ი) „რევმატოიდული ართრიტის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №9).

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ დადგენილების პროექტის მიღება გამოიწვევს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამის განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N50-99 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას, ხოლო დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება 2026 წლის პირველი იანვარი.

თამარ ბერუაშვილმა ყურადღება გაამახვილა დადგენილების პროექტით წარმოდგენილი წესების პროექტებით განსაზღვრულ ღონისძიებებზე, ასევე მათ განსხვავებაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოქმედი დადგენილებით დამტკიცებულ წესებთან მიმართებით, შემდეგი სახით:

- **„დაავადებათა სკრინინგის განხორციელების წესი“**: დაკორექტირდა რიგი ტექნიკური უზუსტობები. ცვლილება განიცადა დადგენილი წესის ზოგიერთმა ნორმამ, ახლებური რედაქციით ჩამოყალიბდა მომსახურების ღირებულების დასახელება და ღირებულება; კერძოდ, ცვლილება შევიდა ცხრილი N1-ით გათვალისწინებული მომსახურების „2.3 საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი – საშვილოსნოს ყელის დათვალიერება, HPV-ტესტის ჩასატარებლად ნაცხის აღება“ ღირებულებაში, კერძოდ, ერთეულის ღირებულება, ნაცვლად 10 ლარისა განისაზღვრა - 13 ლარით;

- **„გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“** გაგრძელდება იმავე სახით 2026 წელს, როგორიც იყო 2025 წელს;

- **„აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“:** წესის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის სახით გაჩნდა ახალი ჩანაწერი ქვეპროგრამით მოსარგებლეთა მშობლებთან დაკავშირებით. კერძოდ, მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულება თავად შეაფასებს მშობელთა ჩართულობის საჭიროებასა და ინტენსივობას სეანსების მიმდინარეობის პროცესში;

- **„ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“:** ქვეპროგრამით გათვალიწინებულ მომსახურებას მიიღებენ საქართველოს ის მოქალაქეებიც, რომლებსაც დაუდგინდათ შემდგომი დიაგნოზები: სემინომა, ნეირობლასტომა, იუნგის სარკომა, რაბდომიოსარკომა, ეპინდიმომა, რეტინობლასტომა, ვილმსის სიმსივნე და აკმაყოფილებენ ქვეპროგრამაში ჩართვისთვის აუცილებელ კრიტერიუმებს;

- **„ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“** გაგრძელდება იმავე სახით 2026 წელს, როგორიც იყო 2025 წელს;

- **„ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“:** დაკორექტირდა პირის ქვეპროგრამაში ჩართვის ერთ-ერთი წინაპირობა, კერძოდ, ჰოსპიტალიზაციის შემთხვევათა რაოდენობა და ნაცვლად 3-ისა, განისაზღვრა - 2 შემთხვევა;

- **„გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების და კვლევების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“** გაგრძელდება იმავე სახით 2026 წელს, როგორიც იყო 2025 წელს;

- **„სახსრების ენდოპროთეზირების დაფინანსების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი“** გაგრძელდება იმავე სახით 2026 წელს, როგორიც იყო 2025 წელს;

- **„რევმატოიდული ართრიტის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“** გაგრძელდება იმავე სახით 2026 წელს, როგორიც იყო 2025 წელს.

მოხსენების მიწურულს, თამარ ბერუაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ აღნიშნული ქვეპროგრამების დაფინანსება გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით და დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. თამარ ბერუაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეცამეტე საკითხად განსაზღვრული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებლის მიერ განმარტებული იქნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის თანახმად, მტკიცდება ქალაქ თბილისის ბიუჯეტით გათვალისწინებული, სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესები, კერძოდ:

ა) „სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების“ (კოდი: 06 02 25) ქვეპროგრამის განხორციელების წესი“;

ბ) „100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების“ (კოდი: 06 02 05) ქვეპროგრამის განხორციელების წესი“;

გ) „სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარების“ (კოდი: 06 02 02) ქვეპროგრამის განხორციელების წესი“;

დ) „სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების“ (კოდი: 06 02 22) ქვეპროგრამის განხორციელების წესი“;

ე) „სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების დახმარების“ (კოდი: 06 02 24) ქვეპროგრამის განხორციელების წესი“;

ვ) „უფასო სწავლება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში“ (კოდი: 06 02 06 01) ქვეპროგრამის განხორციელების წესი“;

ზ) „უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში“ (კოდი: 06 02 06 02) ქვეპროგრამის განხორციელების წესი“;

თ) „უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში“ (კოდი: 06 02 06 03) ქვეპროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველი მოსწავლეების საცურაო აუზებში სწავლების დაფინანსების წესი“;

ი) „შინმოვლის თანადაფინანსების“ (კოდი: 06 02 26) ქვეპროგრამის განხორციელების წესი“;

კ) „სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსების“ (კოდი 06 02 08) ქვეპროგრამის განხორციელების წესი“;

ლ) „მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის“ (კოდი: 06 02 03) ქვეპროგრამის განხორციელების წესი“.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ დადგენილების პროექტის მიღება გამოიწვევს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №50-98 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას, ხოლო დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება 2026 წლის პირველი იანვარი.

თამარ ბერუაშვილმა ყურადღება გაამახვილა დადგენილების პროექტით წარმოდგენილი წესების პროექტებით განსაზღვრულ ღონისძიებებზე, ასევე მათ განსხვავებაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოქმედი დადგენილებით დამტკიცებულ წესებთან მიმართებით, შემდეგი სახით:

- **„სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების" (კოდი: 06 02 25) ქვეპროგრამის განხორციელების წესი":** წესის მე-3 მუხლის პირველმა, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებმა განიცადა მცირე რედაქციული ცვლილებები;
- **„100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების" (კოდი: 06 02 05) ქვეპროგრამის განხორციელების წესი":** წესის მე-2 მუხლის პირველმა პუნქტმა განიცადა მცირე რედაქციული ცვლილება, რათა უფრო ნათლად ჩამოყალიბდეს, რომ დევნილის სტატუსის მქონე 100 წლის და მეტი ასაკის პირებს, არ მოეთხოვებათ ბოლო 1 წლის განმავლობაში უწყვეტად ქალაქ თბილისში რეგისტრაციის დადასტურება, თუ მათ აქვთ დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი და რეგისტრაციის მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი თბილისი;
- **„სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარების" ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 02) განხორციელების წესი"** გაგრძელდება იმავე სახით 2026 წელს, როგორიც იყო 2025 წელს;
- **„სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების (კოდი: 06 02 22) ქვეპროგრამის განხორციელების წესი":** წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში შედის ცვლილება და ქვეპროგრამით გათვალისწინებულ თითოეულ თვეში დახმარების ოდენობა ნაცვლად 400 ლარისა, შეადგენს 500 ლარს. კერძოდ, ქვეპროგრამის ფარგლებში ფულადი დახმარება გაიცემა, ჯამურად, წელიწადში 1000 (ათასი) ლარი. ფულადი დახმარება გაიცემა ორ ნაწილად, მაისში და დეკემბერში, თოთოეულ თვეში 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. აგრეთვე, წესის მე-4 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში შესწორდა მცირე ტექნიკური ხარვეზები;
- **„სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარების" (კოდი: 06 02 24) ქვეპროგრამის განხორციელების წესი":** ცვლილება შედის წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში, რომლის მიხედვითაც, იზრდება ქვეპროგრამის ფარგლებში გასაცემი ფულადი დახმარების ოდენობა. კერძოდ, ქვეპროგრამის ფარგლებში ფულადი დახმარება გაიცემა, ჯამურად, წელიწადში 1050 (ათას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. ფულადი დახმარება გაიცემა სამ ნაწილად, მაისში, აგვისტოში და დეკემბერში, თითოეულ თვეში 350 (სამას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. ასევე წესის მე-4 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში შესწორდა მცირე ტექნიკური ხარვეზები;
- **„უფასო სწავლება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში" (კოდი: 06 02 06 01) ქვეპროგრამის განხორციელების წესი":** წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დაფინანსების ოდენობა გაიზარდა და ა(ა)იპ „ქ. თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლისათვის", თვეში ერთ მოსარგებლე პირზე (მოსწავლეზე) დაფინანსების ოდენობა ნაცვლად არაუმეტეს 40 (ორმოცი) ლარისა, შეადგენს არაუმეტეს 50 (ორმოცდაათი) ლარს; ხოლო, ა(ა)იპ „ახალგაზრდობის ეროვნული სასახლისთვის" თვეში ერთ მოსარგებლე პირზე (მოსწავლეზე) დაფინანსების ოდენობა შეადგენს: მხატვრული კითხვა – ნაცვლად არაუმეტეს 25 (ოცდახუთი) ლარისა, 50 (ორმოცდაათი) ლარს; საგნობრივი წრეები, მუსიკალური მიმართულება, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება - ნაცვლად არაუმეტეს 30 (ოცდაათი) ლარისა, შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს; გიტარის შემსწავლელი წრე, სპორტული მიმართულება – ნაცვლად არაუმეტეს 40 (ორმოცი) ლარისა, ასევე შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს და ქორეოგრაფიული სტუდია

- არაუმეტეს 50 (ორმოცდაათი) ლარს. გარდა ამისა, რედაქციული ცვლილება განიცადა წესის მე-6 მუხლმა - „ბენეფიციარისათვის მომსახურების მიწოდების მონიტორინგი". აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული წესი, წინა დადგენილებაში გაერთიანებული იყო „უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში" (კოდი: 06 02 06 02) ქვეპროგრამის განხორციელების წესთან, თუმცა ვინაიდან ქვეპროგრამებს აქვთ საკუთარი კოდები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში და თანაც შინაარსობრივადაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მიზანშეწონილად აღარ მიიჩნევა მათი გაერთიანება.

- **„უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში" (კოდი: 06 02 06 02) ქვეპროგრამის განხორციელების წესი":** წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, იზრდება თვეში ერთ მოსარგებლე პირზე (მოსწავლეზე) დაფინანსების ოდენობა და ქვეპროგრამის ფარგლებში შეადგენს არაუმეტეს 50 (ორმოცდაათი) ლარს. წესის მე-6 მუხლის მიხედვით, მომსახურების მიწოდების კონტროლი განხორციელდება განმახორციელებლის პროგრამების მონიტორინგის განყოფილების მიერ, წინასწარ შერჩეული შემთხვევების ინსპექტირების გზით, სატელეფონო კომუნიკაციის ან საჭიროების შემთხვევაში ადგილზე ვიზიტის განხორციელების საშუალებით. შემთხვევის ადგილზე ვიზიტით შემოწმებისას ხორციელდება მოსარგებლესთან მონიტორინგის განყოფილების წარმომადგენლის ვიზიტი და შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაციით მიწოდებული ინფორმაციის გადამოწმება, საჭიროების შემთხვევაში მშობელთან/პირის კანონიერ წარმომადგენელთან და მიმწოდებელთან დასაქმებულ პერსონალთან გასაუბრება;
- **„უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში" (კოდი: 06 02 06 03) ქვეპროგრამის ფარგლებში „სოციალურად დაუცველი მოსწავლეების საცურაო აუზებში სწავლების ღირებულების ანაზღაურების წესი"** გაგრძელდება იმავე სახით 2026 წელს, როგორიც იყო 2025 წელს;
- **„შინმოვლის თანადაფინანსების" (კოდი: 06 02 26) ქვეპროგრამის განხორციელების წესი":** იცვლება წესის მე-11 მუხლით დადგენილი წლის ვაუჩერის ღირებულებები ბენეფიციართა კატეგორიების მიხედვით. „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" 70 001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე I კატეგორიას მიკუთვნებული პირისთვის ვაუჩერის ღირებულება განისაზღვრება - 850 ლარით, ნაცვლად 662 ლარისა. „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" 70001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე II კატეგორიას მიკუთვნებული პირისთვის - 580 ლარით, ნაცვლად 453 ლარისა. „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" 70001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე III კატეგორიას მიკუთვნებული პირისთვის - 350 ლარი, ნაცვლად 276 ლარისა. „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" 70001-დან 200001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე I კატეგორიას მიკუთვნებული პირისათვის - 480 ლარით, ნაცვლად 379 ლარისა. „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" 70001-დან 200001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე II კატეგორიას მიკუთვნებული პირისთვის 340 ლარი ნაცვლად 264 ლარისა. „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" 70001-დან 200001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე III კატეგორიას მიკუთვნებული პირისთვის 210 ლარი, ნაცვლად 167 ლარისა;
- **„სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსების" (კოდი: 06 02 08) ქვეპროგრამის განხორციელების წესი"** გაგრძელდება იმავე სახით 2026 წელს, როგორიც იყო 2025 წელს;
- **„მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის" (კოდი: 06 02 03) ქვეპროგრამის განხორციელების წესი"** გაგრძელდება იმავე სახით 2026 წელს, როგორიც იყო 2025 წელს.

მოხსენების მიწურულს, თამარ ბერუაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ აღნიშნული ქვეპროგრამების დაფინანსება გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026

წლის ბიუჯეტით და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. გიორგი ინაურმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთოთხმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემას.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებას, წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირებასა და მისი გაუვნებლობის მომსახურების ორგანიზებას კვლავ განახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიული პირი - შპს „თბილსერვის ჯგუფი", წარმოდგენილი განკარგულების პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების მოცულობით.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. გიორგი კობიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთხუთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ცვლილების შეტანას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „არომას" შორის 2022 წლის 23 აგვისტოს გაფორმებულ „ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, III და IV მიკრორაიონებს შორის N01.10.07.007.104 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 19000 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არომასთვის" (ს/ნ: 245599990), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებაში.**

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების 3.6. პუნქტის მიხედვით, კომპანიის მიერ კოოპერატივის წევრებისთვის გადასაცემი ფართის ჯამური ოდენობა შეადგენს 9 000 კვ.მ-ს. კომპანია ვალდებულია მშენებლობადასრულებული შენობა-ნაგებობ(ებ)იდან გადასაცემი ფართი, ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ „თეთრი კარკასის" მდგომარეობაში, ამავე ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ შესაბამის პირებს ფაქტობრივად გადასცეს შემდეგი წესითა და ვადებში:

„3.6.1. სრული გადასაცემი ფართის არანაკლებ ერთი მესამედი გადაცემულ უნდა იქნას მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) თვის ვადაში, თუმცა ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 42 (ორმოცდაორი) თვისა." (2026 წლის 23 თებერვალი);

„3.6.2. სრული გადასაცემი ფართის ჯამურად არანაკლებ ორი მესამედი (3.6.1 ქვეპუნქტის საფუძველზე გადაცემულ ფართთან ერთობლიობაში) გადაცემულ უნდა იქნას მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვებიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) თვის ვადაში, თუმცა ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 57 (ორმოცდაჩვიდმეტი) თვის ვადაში." (2027 წლის 23 მაისი);

„3.6.3. სრული გადასაცემი ფართის დარჩენილი ოდენობა (3.6.1 და 3.6.2 ქვეპუნქტების საფუძველზე გადაცემულ ფართთან ერთობლიობაში) გადაცემულ უნდა იქნას მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვებიდან არაუგვიანეს 60 (სამოცი) თვის ვადაში, თუმცა ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 72 (სამოცდათორმეტი) თვისა." (2028 წლის 23 აგვისტო).

როგორც გიორგი კობიაშვილმა აღნიშნა, წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში, იცვლება ხელშეკრულების 3.6.1 და 3.6.2 ქვეპუნქტებით განსაზღვრული ვადები, თუმცა უცვლელი რჩება ხელშეკრულების 3.6 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების საბოლოო ვადა - 2028 წლის 23 აგვისტო.

მომხსენებლის მითითებით, ზემოაღნიშნული ვადების ცვლილება მოთხოვნილ იქნა კომპანიის მიერ შემდეგი ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით: საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებულ გეოფიზიკურ კვლევაზე დაყრდნობით საჭირო გახდა პროექტის კონსტრუქციული ნაწილის სრული ცვლილება და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ხიმინჯოვანი საძირკველის მოწყობა (თავდაპირველად A ბლოკზე), რის გამოც კომპანიას დამატებით დასჭირდა არქიტექტურული პროექტის კორექტირება და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უფლებამოსილ უწყებებთან ცვლილებების შეთანხმება. აღნიშნულმა გარემოებამ გამოიწვია პროექტის ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდა და სამშენებლო პროექტის დაწყების 10 (ათი) თვით გადადება/გადავადება (ჩატარდა რა შესაბამისი კვლევები, განხორციელდა კონსტრუქციული და არქიტექტურული პროექტების ცვლილებები, ექსპერტიზები, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან შედგა შეთანხმებები, საფინანსო ინსტიტუტებთან წარმოებდა კონსულტაციები დაფინანსების უზრუნველსაყოფად და ა.შ).

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ მითითებულ საკითხთან დაკავშირებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში, ასევე, წარდგენილ იქნა ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრების მიერ შექმნილი ამხანაგობა „არომა დიდი დიღომი"-ის 2025 წლის 4 დეკემბრის განცხადება, რომლითაც ამხანაგობა თანხმობას აცხადებს კომპანიისთვის მშენებლობის ვადის ცვლილებაზე და ადასტურებს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტთან/სააგენტოსთან და კომპანიასთან აღნიშნულთან დაკავშირებით, რაიმე სახის პრეტენზიის ან/და მოთხოვნის უფლება არ აქვთ და არც შემდგომში წარმოეშობათ.

მოხსენების მიწურულს, გიორგი კობიაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ

მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურისა და პირველი პუნქტის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების, განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლების დაზუსტების, განკარგულების პროექტის მე-2 პუნქტისა და დანართის სახით წარმოდგენილი შეთანხმების პროექტის პრეამბულის ტექნიკურად გამართვის, ასევე შეთანხმების პროექტის პირველი პუნქტით გათვალისწინებული, ხელშეკრულების 3.6.1 ქვეპუნქტის სათანადო რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. გიორგი კობიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთექვსმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და **შპს „ჰორვატს"-სშორის 2021 წლის 24 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატსისათვის" პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 24 დეკემბრის განკარგულების დანართით წარმოდგენილი შეთანხმების პროექტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

მომხსენებელმა დასაწყისშივე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 09 მარტის განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 3 თებერვლის; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 17 მარტის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 თებერვლის; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 მარტის განკარგულებების საფუძველზე განხორციელდა ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატსისათვის" - ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ რეგისტრირებული, ქ. თბილისის

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.

მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნული განკარგულებების საფუძველზე, 2021 წლის 24 მარტს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო"), ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ჰორვატსს" შორის გაფორმდა „ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატსისათვის" პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულება (შემდგომში - „ხელშეკრულება"), რომლის თანახმადაც ყოფილი კონკრეტული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებმა/მათმა უფლებამონაცვლეებმა, ზემოთხსენებული განკარგულებების დანართით განსაზღვრული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, სრულად განაცხადეს უარი მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე.

გიორგი კობიაშვილმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ 2023 წლის 2 თებერვალს სააგენტოში წარმოდგენილ იქნა შპს „ჰორვატსის"და კომპანიის - შპს „თეთრი კვადრატი მინდელზე", ერთობლივი განცხადება, რომლითაც დგინდებოდა, რომ მათ შორის გაფორმდა მემორანდუმი. კომპანია მზად იყო ეკისრა ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები სრულად და კეთილსინდისიერად განეხორციელებინა მათი შესრულება და შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 8 თებერვლის განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 თებერვლის განკარგულების საფუძველზე, მხარეებს შორის გაფორმდა შეთანხმება და ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილებები, მათ შორის, ხელშეკრულებიდან წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის მხარედ შპს „ჰორვატსის" ნაცვლად განისაზღვრა შპს „თეთრი კვადრატი მინდელზე" და მასზე სრულად გავრცელდა ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში წარმოშობილი უფლებები და ვალდებულებები, გარდა ამისა, შეიცვალა ლოტების დასრულების ვადები. კერძოდ, I ლოტის მშენებლობა უნდა დასრულებულიყო 2025 წლის 1 მარტამდე, II ლოტის - არაუგვიანეს 2026 წლის 31 მარტისა, III ლოტის - არაუგვიანეს 2027 წლის 31 მარტისა, ხოლო IV ლოტის - არაუგვიანეს 2028 წლის 31 მარტამდე.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 19 მარტის განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 21 მარტის განკარგულების საფუძველზე, კვლავ შევიდა ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ჰორვატსს" შორის 2021 წლის 24 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატსისათვის" პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებაში და ზემოაღნიშნული ხელშეკრულების 3.4.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადა ნაცვლად 2025 წლის 31 მარტისა განისაზღვრა 2025 წლის 31 დეკემბერი.

ამასთან, გიორგი კობიაშვილმა აღნიშნა, რომ კომპანიამ - შპს „თეთრი კვადრატი მინდელზე"-მ სააგენტოში წარმოადგინა 2025 წლის 3 დეკემბრის და 2025 წლის 22 დეკემბრის განცხადებები,

რომლითაც მოთხოვნილი იქნა ხელშეკრულების 3.4.1, 3.4.2. და 3.4.3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.4.1 ლოტი I – სრული სამშენებლო ფართის არანაკლებ 20%-ის მშენებლობა უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2026 წლის 30 ივნისისა“.

„3.4.2 ლოტი II – სრული სამშენებლო ფართის არანაკლებ 30%-ის მშენებლობა უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2027 წლის 31“.

„3.4.3 ლოტი III – სრული სამშენებლო ფართის არანაკლებ 20%-ის მშენებლობა უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2027 წლის 31 დეკემბრისა“.

ხოლო ხელშეკრულების 3.7 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.7 კომპანია ვალდებულია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობა ექსპლუატაციაში მიიღოს შესაბამისი ნებართვის საფუძველზე შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულებიდან ოთხი თვის ვადაში. ამასთანავე, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლო კომპანიას დაეკისრება მითითებული ვადის გასვლის შემდგომ, გარდა ხელშეკრულების 4.1.6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

გიორგი კობიაშვილმა მოხსენების მიწურულს დასძინა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ამხანაგობა „ძოწის“ მიერ წარმოდგენილი იქნა 2025 წლის 23 დეკემბერს განცხადება, რომლითაც ამხანაგობა თანხმობას გამოთქვამს განხორციელდეს ხელშეკრულებით განსაზღვრული შესაბამისი I, II და III ლოტებში მშენებლობის დასრულების ვადის ცვლილება, რასთან დაკავშირებითაც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტთან/სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთან ამხანაგობას რაიმე სახის პრეტენზიის ან/და მოთხოვნის უფლება არ აქვს და არც შემდგომში წარმოეშობა. ამასთანავე, კომპანიის მიერ I, II და III ლოტებში მშენებლობის დასრულების ვადის გახანგრძლივების საკომპენსაციოდ კომპანიასა და ამხანაგობას შორის შედგა შეთანხმება. აღნიშნული შეთანხმებით კი, კომპანია იღებს ვალდებულებას განსაზღვრული მშენებლობის ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს სამი თვით ადრე ამხანაგობის წევრებს გადასცეს ბინები იმ კონდიციაში, რომ მესაკუთრეებს მიეცეთ საშუალება დაიწყონ სარემონტო სამუშაოები.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლებისა და ამავე განკარგულების პროექტის მე-2 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. გიორგი კობიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეჩვიდმეტე**

საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს:

- ცვლილების შეტანას სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს“ შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში“, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის დანართით გათვალისწინებული შეთანხმების პროექტის პირობების შესაბამისად;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს“ შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს“ შორის 2025 წლის 30 აპრილს გაფორმებული შეთანხმების მე-3 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს“ შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებული „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიანი ხელშეკრულების“ 4.2.5 ქვეპუნქტის შესაბამისად დაკისრებული, ჯამურად - 34 500 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოსგან შპს „კორტების“ გათავისუფლების საკითხზე.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, კომპანიამ 2025 წლის 15 დეკემბერს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი განცხადებით ითხოვა ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა, კერძოდ, 3.2.1.3 ქვეპუნქტით განსაზღვრული შუალედური ეტაპისა (არაუგვიანეს 2025 წლის 30 დეკემბრისა, პროექტის ფარგლებში ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის, ასევე არანაკლებ 3 (სამი) ერთეული საჩოგბურთო კორტის მშენებლობა/მოწყობა ხელშეკრულების №1 („მოპირკეთების სამუშაოები“) და №2 („ესკიზი“) დანართებით გათვალისწინებული პარამეტრებისა და ვიზუალის შესაბამისად) და ასევე მისი დასრულებისთვის განსაზღვრული ვადის გაუქმება, იმ პირობით, რომ აღნიშნული სამუშაოები და ასევე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობა დასრულება განხორციელდება ხელშეკრულების 3.2.1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ძირითად ვადაში - არაუგვიანეს 2026 წლის 1 სექტემბრამდე.

გიორგი კობიაშვილის განმარტებით, კომპანიის მიერ ხელშეკრულებაში ზემოაღნიშნული ცვლილებების შეტანის მოთხოვნა განპირობებულ იქნა იმ გარემოებით, რომ არსებული კლიმატური პირობებისა და საერთაშორისო ასოციაციების მიერ დადგენილი სტანდარტების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული კორტების სამშენებლო სამუშაოების განხორციელება 2026 წლის გაზაფხულამდე.

მომხსენებლის მითითებით, 2025 წლის 30 აპრილს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე გაფორმებული შეთანხმებით მყიდველს დაევალა 1 თვის ვადაში ვადაგაზრდილი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, კომპლექსის მშენებლობისათვის გაზრდილი ვადების შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტი წარმოდგენილი იქნა ვადაგადაცილებით, კერძოდ 2025 წლის 7 აგვისტოს, რისთვისაც ხელშეკრულების 4.2.5 ქვეპუნქტის შესაბამისად, კომპანიას დაეკისრა პირგასამტეხლო - 34 500 ლარის ოდენობით.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, კომპანიის მიერ საბანკო გარანტიის ვადის გაზრდის ვალდებულების დარღვევა გამოწვეულ იქნა ობიექტური გარემოებით, კერძოდ, კომპანიამ გარანტიის ვადის გაგრძელების მოთხოვნით ბანკს მიმართა დროულად, აპრილის თვეში, თუმცა ვადის გაზრდის პროცედურა გაჭიანურდა და დოკუმენტი გაიცა აგვისტოში. ამ პერიოდში, 11 მაისს ბეტონის ჩამოშლამ კომპანიის შიდა საორგანიზაციო პრობლემები გამოიწვია, რის გამოც ვერ მოხერხდა ამ პირობის დროული შესრულების გაკონტროლება. ამასთანავე, საბანკო გარანტია აღნიშნული პერიოდის განმავლობაში იყო მოქმედი, ვადის ფარგლებში, შესაბამისად მისი ვადის

გაზრდის პირობის ვადაგადაცილებით შესრულებას არ გამოუწვევია მუნიციპალიტეტისათვის რაიმე დაბრკოლება ან ზიანი.

მოხსენების მიწურულს, გიორგი კობიაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბებისა და მე-2 პუნქტში ტექნიკური ხასიათის ხარვეზის გასწორების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. გიორგი კობიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთვრამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი რიზორთსს" შორის 2016 წლის 13 მაისს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-308-26-19647 ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დადასტურების საკითხის მოწონებას.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, კომპანიამ იკისრა რიგი ვალდებულებები, კერძოდ: არაუგვიანეს 2025 წლის 31 დეკემბრისა, არანაკლებ 80-ნომრიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა; სასტუმრო კომპლექსისთვის არანაკლებ 50 (ორმოცდაათი) ერთეულ სატრანსპორტო საშუალებაზე გათვლილი ავტოსადგომის მოწყობა; ხელშეკრულების გაფორმებიდან სააუქციონო პირობების (ვალდებულებების) შესრულებამდე პერიოდის განმავლობაში, პროექტის ფარგლებში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განახლება (ახალი ხე-ნარგავების შერგვა), ტერიტორიის კეთილმოწყობა, რეკრეაციული სივრცის განვითარება და საირიგაციო სისტემის მოწყობა.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, 2025 წლის 5 დეკემბერს, კომპანიამ წერილობითი განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დადასტურების საკითხზე.

მომხსენებლის მითითებით, კომპანიის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ასევე დასტურდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2025 წლის 17 იანვრის ბრძანებითა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2025 წლის 9 დეკემბრის კორესპონდენციით.

მოხსენების მიწურულს, გიორგი კობიაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლების დაზუსტებისა და განკარგულების პროექტის პრეამბულის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. გიორგი კობიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეცხრამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს:**

- **ცვლილების შეტანას** „ქ. თბილისში, ვერის პარკში მდებარე განსაზღვრული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.15.03.010.115, №01.15.03.010.114) შპს „გრატო მენეჯერისთვის“ (ს/კ: №404920387) და შპს „სანისთვის“ (ს/კ: №406033983) აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2012 წლის 30 აპრილის №01-4/47 ბრძანების დანართით განსაზღვრულ აღნაგობის პირობებში, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის დანართით გათვალისწინებული შეთანხმების პროექტის პირობების შესაბამისად;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემას, „ქ. თბილისში, ვერის პარკში მდებარე განსაზღვრული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.15.03.010.115, №01.15.03.010.114) შპს „გრატო მენეჯერისთვის“ (ს/კ: №404920387) და შპს „სანისთვის“ (ს/კ: №406033983) აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2012 წლის 30 აპრილის №01-4/47 ბრძანების დანართით განსაზღვრული აღნაგობის პირობების 10.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოსგან შპს „ხულიგანას“ გათავისუფლების საკითხზე, წინამდებარე განკარგულების პროექტის დანართით გათვალისწინებული შეთანხმების პროექტის პირობების შესაბამისად.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული ბრძანების საფუძველზე, შპს „გრატო მენეჯერს“ და შპს „სანის“ (უფლებამონაცვლე: შპს „ხულიგანა“, შემდგომში: კომპანია) აღნაგობის უფლებით, დროებით სარგებლობაში, ყოველწლიური აღნაგობის უფლების ღირებულების - 37 665 ლარის ოდენობით, 48 წლის ვადით, გადაეცათ ქ. თბილისში, ვერის პარკში მდებარე 1183 კვ.მ. და 32 კვ.მ. მიწის ნაკვეთები, საფეხბურთო მოედნისა და ორსართულიანი შენობის განთავსების მიზნით.

როგორც გიორგი კობიაშვილმა აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 22 თებერვლის და 2018 წლის 7 მარტის განკარგულებების, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის განკარგულების საფუძველზე, კომპანიას 2015 წლის 28 აპრილიდან - 2017 წლის 28 ოქტომბრამდე გადასახდელი სარგებლობის საფასურის - 112 995 ლარის და 2015 წლის 28 აპრილიდან - 2018 წლის 28 აპრილამდე დაკისრებული პირგასამტეხლოს - 71 869.42 ლარის (შემდგომში: განწილვადებული თანხა) გადასახდელად განესაზღვრა გეგმა-გრაფიკი. ამასთანავე, აღნიშნული ვალდებულების შესრულების პირობით, კომპანია გათავისუფლდა 2018 წლის 28 აპრილიდან - 2024 წლის 15 ნოემბრამდე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან.

მომხსენებლისვე მითითებით, კომპანიამ დაარღვია განწილვადებული თანხის გეგმა-გრაფიკის შესაბამისად გადახდის პირობა, კერძოდ, გადასახდელი 184 864.42 ლარიდან გადახდილია მხოლოდ 127 000 ლარი, ხოლო დარჩენილი 57 864.42 ლარი დღემდე არ არის გადახდილი. შესაბამისად, კომპანიას გადასახდელად ერიცხება განწილვადებული თანხის ნაწილი - 57 864.42 ლარი; ასევე, გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო აღდგენილი პირგასამტეხლო - 132 188.89 ლარის ოდენობით.

გიორგი კობიაშვილის განმარტებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი განცხადებებით შპს „ხულიგანამ" ითხოვა განწილვადებული თანხიდან დარჩენილი 57 864.42 ლარის 2026 წლის 15 იანვრიდან 2028 წლის 15 დეკემბრამდე პერიოდზე განწილვადება და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება იმ საფუძვლით, რომ წლების განმავლობაში კომპანიის მიერ ჯეროვნად სრულდებოდა ვალდებულებები, განწილვადებული თანხის 70% უკვე გადახდილია და კომპანია აპირებს დარჩენილი ნაწილის გადახდასაც, რის დროულად შესრულებაშიც ხელი შეეშალა მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ ვერის ბაღში მიმდინარე რეაბილიტაციის გამო, 2025 წლის 5 ივლისიდან ბაღი იყო დაკეტილი (პროექტით არ იქნა გათვალისწინებული იზოლირებული მისასვლელი), რის გამოც კომპანიის ქვემოიჯარე ვერ სარგებლობდა გადაცემული ქონებით და არ იხდიდა საიჯარო ქირას. აღნიშნულიდან გამომდინარე შპს „ხულიგანას" არ ჰქონდა შემოსავალი და მიადგა ზიანი. შესაბამისად, კომპანიამ ითხოვა 2025 წლის 5 ივლისიდან ვერის ბაღის რეაბილიტაციის დასრულებამდე (2025 წლის 2 ოქტომბრის ჩათვლით) სარგებლობის საფასურისგან (9 287.1 ლარი) გათავისუფლება.

მომხსენებელმა დამატებით აღნიშნა, რომ კომპანიის მიერ მოთხოვნილ იქნა საფეხბურთო მოედნის ნაცვლად რამდენიმე პადელის კორტის მოწყობა, იმ საფუძვლით, რომ ერთი მხრივ, შენარჩუნებული იქნება სპორტული პროფილი, ხოლო, მეორე მხრივ, გაუმჯობესდება კომპანიის მატერიალური მდგომარეობა, რაც ასევე აისახება ფინანსური ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებაზე.

მოხსენების მიწურულს, გიორგი კობიაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლების დაზუსტების, განკარგულების პროექტის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბებისა და განკარგულების პროექტის დანართით გათვალისწინებული შეთანხმების

პროექტის პირველ პუნქტში ტექნიკური ხასიათის ხარვეზის გასწორების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. გიორგი კობიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეოცე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ბრბ სოლარს“ შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-3-30671 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანას.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ბრბ სოლარს“ 10 წლის ვადით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაეცა ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული 66 ერთეული უძრავი ქონება (მიწის ნაკვეთი), თითოეულ მათგანზე არანაკლებ 30 კვტ. დადგმულ სიმძლავრეზე გათვლილი ელექტრომობილის დასამუხტი ჭკვიანი აპარატის (შემდგომში - „დამტენი“) განთავსებისა და მომხმარებლისათვის შესაბამისი სერვისის მიწოდების მიზნით.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მითითებული ხელშეკრულებისა და 2025 წლის 2 ოქტომბერს გაფორმებული შეთანხმების პირობების თანახმად, მოიჯარემ იკისრა მთელი რიგი ვალდებულებები, მათ შორის, არაუგვიანეს 2025 წლის 30 დეკემბრისა, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო(ები)დან შესაბამისი ნებართვ(ებ)ის/თანხმობ(ებ)ის მოპოვება და ელექტროენერგიის ლიცენზიანტთან შეთანხმება, ხოლო 2025 წლის 31 დეკემბრამდე, დამტენების განთავსებისა და ფუნქციონირების დაწყების უზრუნველყოფა.

მომხსენებლის მითითებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაიცა შესაბამისი თანხმობები, ყველა საიჯარო ქონებაზე დამტენის განთავსებასთან (I კლასის მშენებლობის წარმოებასთან) დაკავშირებით. რაც შეეხება დამტენამდე ელექტროენერგიის მიყვანის საკითხს, აღნიშნულის თაობაზე კომპანიას მიმართული აქვს ელექტროენერგიის ლიცენზიანტისათვის (სს „თელასი“, (შემდგომში: ლიცენზიანტი) შესაბამისი განცხადებებით. ამ განცხადებების განხილვის ეტაპზე, საიჯარო ქონებამდე ელექტროენერგიის მიყვანის თაობაზე თანხმობის მოპოვების მიზნით, ლიცენზიანტის/მისი ქვეკონტრაქტორის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებში (მათ შორის, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო) შესათანხმებლად წარდგენილია შესაბამისი განცხადებები. აღნიშნული განცხადებების განხილვისას გამოვლინდა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ორგანოსთან დაკავშირებული რიგი პრობლემური საკითხები, რაც ხელს უშლის საიჯარო ქონებამდე ელექტროენერგიის მიყვანას და შესაბამისად, მასზე დამტენის განთავსებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, როგორც მომხსენებელმა განმარტა, დამტენისათვის აუცილებელი ელექტროენერგიის ქსელის მოწყობისათვის შესაბამისი ნებართვების/თანხმობების მოსაპოვებლად და შემდგომ დამტენების ფაქტობრივად დამონტაჟებისათვის აუცილებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების გონივრული პერიოდით გაზრდა. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით, ხელშეკრულებაში შედის ცვლილებები და ზემოაღნიშნული ნებართვების/თანხმობების მოპოვების ვადა იზრდება 2025 წლის 30 ნოემბრიდან 2026 წლის 1 მაისამდე, ხოლო დამტენების განთავსებისა და ფუნქციონირების დაწყების ვადა იზრდება 2025 წლის 31 დეკემბრიდან 2026 წლის 1 ივნისამდე.

მოხსენების მიწურულს, გიორგი კობიაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის სათანადო რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. გიორგი კობიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეერთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის" შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში" ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებელმა პირველ ყოვლისა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის" შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის" ხელშეკრულების საფუძველზე, მოიჯარეს 10 წლის ვადით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაეცა ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული 66 ერთეული უძრავი ქონება. ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენდა საიჯარო ქონებაზე (თითოეულ მიწის ნაკვეთზე) არანაკლებ 30 (ოცდაათი) კვტ. დადგმულ სიმძლავრეზე გათვლილი ელექტრომობილის დასამუხტი ჭკვიანი აპარატის განთავსება, მომხმარებლისათვის შესაბამისი სერვისის მიწოდების მიზნით.

მომხსენებლის განმარტებით, წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, კომპანიამ იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის:

- უზრუნველყოს ყოველწლიური საიჯარო ქირის 501 306.80 ლარის გადახდა, თანაბარწილად ყოველ სამ თვეში ერთხელ პერიოდულობით (ხელშეკრულების 3.1 და 3.2 პუნქტი);
- არაუგვიანეს 2025 წლის 19 ივნისისა უზრუნველყოს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო(ები)დან შესაბამისი ნებართვ(ებ)ის/თანხმობ(ებ)ის მოპოვება და ელექტროენერგიის ლიცენზიანტთან შეთანხმება (ხელშეკრულების 4.1.1 პუნქტი);
- 2025 წლის 02 ოქტომბერს მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, ვალდებულების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადა გაიზარდა 2025 წლის 30 ნოემბრამდე.
- მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმება ითვალისწინებდა აღნიშნული ვადის დამატებით 1 (ერთი) თვით გაგრძელების შესაძლებლობას, მოიჯარის დასაბუთებული მომართვის შემთხვევაში, სააგენტოს წერილობითი თანხმობით. ეს უფლება მოიჯარის მიერ გამოყენებულია და სააგენტოს შესაბამისი თანხმობით, შესაბამისი ნებართვების/თანხმობების მოპოვების ვადად განისაზღვრა არაუგვიანეს 2025 წლის 30 დეკემბერი.
- არაუგვიანეს 2025 წლის 19 ოქტომბრამდე დამტენების განთავსებისა და ფუნქციონირების დაწყების უზრუნველყოფა (ხელშეკრულების 4.1.2 პუნქტი);
- 2025 წლის 02 ოქტომბერს მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, ვალდებულების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადა გაიზარდა 2025 წლის 30 დეკემბრამდე;
- არაუგვიანეს 2025 წლის 11 დეკემბრისა უზრუნველყოს ქ. თბილისში, ჟ. შარტავას №7-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში ავტომობილისთვის განკუთვნილ შესაბამის საპარკინგე სივრცეში ერთი ერთეული დამტენის საკუთარი ხარჯებით განთავსება და დამოუკიდებლად ფუნქციონირებად მდგომარეობაში მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოს საკუთრებაში გადაცემა (ხელშეკრულების 4.2 პუნქტი);
- აღნიშნული ვალდებულება კომპანიის მიერ შესრულდა.

გიორგი კობიაშვილის განმარტებით, კომპანიას მიმართული აქვს ელექტროენერგიის ლიცენზიანტისათვის შესაბამისი განცხადებებით. ამ განცხადებების განხილვის ეტაპზე, საიჯარო ქონებამდე ელექტროენერგიის მიყვანის თაობაზე თანხმობის მოპოვების მიზნით, ლიცენზიანტის/მისი ქვეკონტრაქტორის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებში (მათ შორის, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო) შესათანხმებლად წარმოდგენილია შესაბამისი განცხადებები. აღნიშნული განცხადებების განხილვისას გამოვლინდა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ორგანოებთან დაკავშირებული რიგი პრობლემური საკითხები, რაც ხელს უშლის საიჯარო ქონებამდე ელექტროენერგიის მიყვანას და შესაბამისად, მასზე დამტენის განთავსებას.

მომხსენებლის მიერ დაზუსტდა, რომ რიგ შემთხვევებში, ლიცენზიანტი ვერ იღებს თანხმობას საიჯარო ქონებამდე ელექტროენერგიის ქსელის მოწყობისათვის საჭირო მიწის გათხრითი სამუშაოების წარმოებაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურიდან ან/და შესაბამისი გამგეობიდან:

- რიგ შემთხვევაში, პრობლემას წარმოადგენს ახლად რეაბილიტირებული ქუჩები და ტროტუარები - ლიცენზიანტი ვერ იღებს თანხმობას ქსელის მოწყობის მიზნით ტროტუარის ან/და ასფალტის საფარის დაზიანებაზე - მათ შორის, ზოგიერთ შემთხვევაში, ახლად რეაბილიტირებულ ქუჩაზე საგარანტიო პერიოდის მოქმედების გამო;
- ზოგიერთ შემთხვევაში, მიწის გათხრითი სამუშაოების ალტერნატივად განიხილება მხოლოდ და მხოლოდ ქსელის მონტაჟი გვირაბული მეთოდის გამოყენებით, თუმცა აღნიშნული მეთოდით სამუშაოების წარმოება ზოგიერთ ქონებასთან მიმართებით შეუძლებელია ან არ არის მიზანშეწონილი.

მომხსენებელმა დამატების სახით ასევე აღნიშნა, რომ დამტენისათვის აუცილებელი ელექტროენერგიის ქსელის მოწყობისათვის შესაბამისი ნებართვების/თანხმობების მოსაპოვებლად და შემდგომ დამტენების ფაქტობრივად დამონტაჟებისათვის აუცილებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების გონივრული პერიოდით გაზრდა.

გიორგი კობიაშვილის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტით, ხელშეკრულებაში შედის შემდეგი ცვლილებები:

- შესაბამისი ნებართვების/თანხმობების მოპოვების ვადა იზრდება 2025 წლის 30 ნოემბრიდან 2026 წლის 01 მაისამდე;
- დამტენების განთავსებისა და ფუნქციონირების დაწყების ვადა იზრდება 2025 წლის 31 დეკემბრიდან 2026 წლის 01 ივნისამდე;

მომხსენებელმა დასკვნის სახით აღნიშნა, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის" შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 24 დეკემბრის განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების თანდართული შეთანხმების პროექტის შესაბამისად ცვლილება.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა, რომ მიზანშეწონილია დაზუსტდეს განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლები და განკარგულების პრეამბულა, რაც გაზიარებული იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

22. გიორგი კობიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეორე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების

მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ შორის შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ ხელშეკრულებაში, **ამავე განკარგულების დანართით გათვალისწინებული, შეთანხმების პირობებით განსაზღვრული ცვლილებების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.**

მომხსენებლის მიერ აღინიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (შემდგომში: მოიჯარე/კომპანია) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ ხელშეკრულების საფუძველზე, მოიჯარეს 10 წლის ვადით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაეცა ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული 66 ერთეული უძრავი ქონება. ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენდა საიჯარო ქონებაზე (თითოეულ მიწის ნაკვეთზე) არანაკლებ 30 (ოცდაათი) კვტ. დადგმულ სიმძლავრეზე გათვლილი ელექტრომობილის დასამუხტი ჭკვიანი აპარატის განთავსება, მომხმარებლისათვის შესაბამისი სერვისის მიწოდების მიზნით.

მომხსენებლის განმარტებით, კომპანიამ იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის:

- უზრუნველყოს ყოველწლიური საიჯარო ქირის 501 306.80 ლარის გადახდა, თანაბარწილად ყოველ სამ თვეში ერთხელ პერიოდულობით;
- არაუგვიანეს 2025 წლის 30 ნოემბრამდე უზრუნველყოს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო(ები)დან შესაბამისი ნებართვ(ებ)ის/თანხმობ(ებ)ის მოპოვება და ელექტროენერგიის ლიცენზიანტთან შეთანხმება;
- არაუგვიანეს 2025 წლის 30 დეკემბრამდე დამტენების განთავსებისა და ფუნქციონირების დაწყების უზრუნველყოფა;
- არაუგვიანეს 2025 წლის 11 დეკემბრისა უზრუნველყოს ქ. თბილისში, ჟ. შარტავას №7-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში ავტომობილისთვის განკუთვნილ შესაბამის საპარკინგე სივრცეში ერთი ერთეული დამტენის საკუთარი ხარჯებით განთავსება და დამოუკიდებლად ფუნქციონირებად მდგომარეობაში მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოს საკუთრებაში.

მომხსენებლის მიერ ასევე დამატების სახით აღინიშნა, რომ მოიჯარის მიერ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილია დამტენების განთავსების თაობაზე შესაბამისი განცხადებები (შეტყობინებები I კლასის მშენებლობაზე) და მოპოვებულია შესაბამისი თანხმობები. ხოლო რაც შეეხება დამტენამდე ელექტროენერგიის მიყვანას, აღნიშნულის თაობაზე კომპანიას მიმართული აქვს ელექტროენერგიის ლიცენზიანტისათვის შესაბამისი განცხადებებით. ამ განცხადებების განხილვის ეტაპზე, საიჯარო ქონებამდე ელექტროენერგიის მიყვანის თაობაზე თანხმობის მოპოვების მიზნით, ლიცენზიანტის / მისი ქვეკონტრაქტორის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებში (მათ შორის, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო) შესათანხმებლად წარმოდგენილია შესაბამისი განცხადებები. აღნიშნული განცხადებების განხილვისას გამოვლინდა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ორგანოებთან დაკავშირებული რიგი პრობლემური საკითხები, რაც ხელს უშლის საიჯარო ქონებამდე ელექტროენერგიის მიყვანას და შესაბამისად, მასზე დამტენის განთავსებას.

გიორგი კობიაშვილის განმარტებით, რიგ შემთხვევებში, ლიცენზიანტი ვერ იღებს თანხმობას საიჯარო ქონებამდე ელექტროენერგიის ქსელის მოწყობისათვის საჭირო მიწის გათხრითი სამუშაოების წარმოებაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურიდან ან/და შესაბამისი გამგეობიდან.

მომხსენებლის მიერ დაზუსტებული იქნა ზემოაღნიშნული ხელის შემშლელი გარემოებები, კერძოდ:

- რიგ შემთხვევაში, პრობლემას წარმოადგენს ახლად რეაბილიტირებული ქუჩები და ტროტუარები - ლიცენზიანტი ვერ იღებს თანხმობას ქსელის მოწყობის მიზნით ტროტუარის ან/და ასფალტის საფარის დაზიანებაზე - მათ შორის, ზოგიერთ შემთხვევაში, ახლად რეაბილიტირებულ ქუჩაზე საგარანტიო პერიოდის მოქმედების გამო;

- ზოგიერთ შემთხვევაში, მიწის გათხრითი სამუშაოების ალტერნატივად განიხილება მხოლოდ და მხოლოდ ქსელის მონტაჟი გვირაბული მეთოდის გამოყენებით, თუმცა აღნიშნული მეთოდით სამუშაოების წარმოება ზოგიერთ ქონებასთან მიმართებით შეუძლებელია ან არ არის მიზანშეწონილი.

მომხსენებლის მოსაზრებით, დამტენისათვის აუცილებელი ელექტროენერგიის ქსელის მოწყობისათვის შესაბამისი ნებართვების / თანხმობების მოსაპოვებლად და შემდგომ დამტენების ფაქტობრივად დამონტაჟებისათვის აუცილებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების გონივრული პერიოდით გაზრდა. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით, ხელშეკრულებაში შედის შემდეგი ცვლილებები:

- შესაბამისი ნებართვების / თანხმობების მოპოვების ვადა იზრდება 2025 წლის 30 ნოემბრიდან 2026 წლის 01 მაისამდე;

- დამტენების განთავსებისა და ფუნქციონირების დაწყების ვადა იზრდება 2025 წლის 31 დეკემბრიდან 2026 წლის 01 ივნისამდე;

მოხსენების მიწურულს კი, გიორგი კობიაშვილმა აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და 2025 წლის 24 დეკემბრის განკარგულებით მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესათანხმებლად წარუდგინოს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის საკითხი.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა, რომ მიზანშეწონილია დაზუსტდეს განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლები და განკარგულების პრეამბულა, რაც გაზიარებული იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23. გიორგი კობიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამესამე**

საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, ქონების შემძენს გადაეცა ჯორჯ ბალანჩინის ქუჩა N21-ში მდებარე 2402 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი, ხოლო სანაცვლოდ მუნიციპალიტეტმა მიიღო გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე (ცენტრალური საცურაო აუზის მექანიკური საამქროს მიმდებარედ) არსებული 234 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი. ამასთანავე, ქონების შემძენის მიერ მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემული მიწის ნაკვეთის ღირებულება 225 846 ლარით აღემატება მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული ქონების ღირებულებას.

გიორგი კობიაშვილმა ყურადღება გაამახვილა ხელშეკრულების 4.3 პუნქტზე, რომლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი არ არის ვალდებული, ქონების შემძენს გადაუხადოს უძრავი ქონებების ფასთა შორის არსებული სხვაობა 225 846 ლარის ოდენობით. ამასთანავე, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის განმავლობაში ითანამშრომლებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შესაბამისი უძრავი ქონების მოძიებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიასთვის“ მისი საკუთრების ან სარგებლობის უფლებით (შესაბამისი ფორმით) გადაცემის მიზნით, ფასთა შორის სხვაობის შესაბამისი ქონების საბაზრო საპრივატიზებო ან/და სარგებლობის საფასურის (შესაბამისად) ანგარიშში ჩათვლის პირობით.

მომხსნებელის მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ 2024 წლის 17 ოქტომბრის, 2025 წლის 17 აპრილის და 2025 წლის 31 ოქტომბრის შეთანხმებებით გახანგრძლივებულ იქნა ხელშეკრულების ვადა და მხარეებს შორის მიმდინარეობს ინტენსიური მოლაპარაკებები, ამ ეტაპზე შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული და გრძელდება შესაბამისი მიწის ნაკვეთის მოძიების/შეთავაზების პროცესი. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა ხელშეკრულების 4.3 პუნქტით გათვალისწინებული 18-თვიანი ვადის 2026 წლის 31 მარტის ჩათვლით გაზრდის საკითხი. ამასთანავე, აღნიშნული პროცესის წარმატებით დასრულება წარმოადგენს არამხოლოდ ქონების შემძენის, არამედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ინტერესს.

მოხსენების მიწურულს, გიორგი კობიაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პირველი პუნქტის სათანადო რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული

რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

24. გიორგი კობიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეოთხე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუსი N5-ში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით,** მოქალაქე ილია თვაურისა და ინგა გვანცელაძისთვის, **ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირებმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართეს ჩუღურეთის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირები დაახლოებით 20-25 წელია ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე. ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება ჩუღურეთის რაიონის გამგეობის საუბნო შემოწმების აქტებითა და მეზობლების მიერ ნოტარიულად დამოწმებული წერილით.
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებულ პირთა საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებელმა დასკვნის სახით აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით გადაცემის საკითხის შესათანხმებლად წარმოდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

25. გიორგი კობიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეხუთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც **ქალაქ თბილისში, ვახტანგ ნინუას ქ. N3-3-ში, „ა“ ბლოკი, მე-7 სართულზე მდებარე 76.60 კვ.მ ფართობის N66 ბინის (მშენებარე) და ქალაქ თბილისში, ალექსანდრე წულუკიძის ქ. N27-ში, I ბლოკის მე-3 სართულზე მდებარე 65.40 კვ.მ. ფართობის N7 ბინის პირდაპირი განკარგვის**

ფორმით პრივატიზების გზით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე ლიდია ყურაშვილისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებლობის დასრულებით დაინტერესებულ პირთა საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, 2024 წლის 1 აპრილს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას წერილობითი განცხადებით მიმართა ყიფშიძის ქ. N5ბ-ში რეგისტრირებული 87 კვ.მ ფართის მესაკუთრემ - ლიდია ყურაშვილმა და აღნიშნული ქონების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ ითხოვა ზემოაღნიშნული ფართების საკუთრებაში გადაცემა.

გიორგი კობიაშვილის განმარტებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 8 მაისის დასკვნით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე უძრავ ქონებაში 1 კვ.მ. ფართის (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, თეთრი კარკასის კონდიციით, 2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 3 903 ლარის ოდენობით. შესაბამისად, მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 339 561 ლარის ოდენობით.

მომხსენებლის მითითებით, თეთრი კარკასის მდგომარეობით შეფასდა ის ფართებიც, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა დაინტერესებული პირისათვის სანაცვლოდ გადასაცემად. კერძოდ, ზემოაღნიშნული ფართების საბაზრო ღირებულება ჯამურად განისაზღვრა 335 614 ლარის ოდენობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გიორგი კობიაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წინამდებარე განკარგულების პროექტის წარმოდგენა, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, დაინტერესებული პირისათვის საკუთრებაში გადაცემას და საპრივატიზებო პირობის სახით - მის ფართზე საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პირველი პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

26. გიორგი კობიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეექვსე**

საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლება, IV მიკრო/რაიონი; ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის საცხოვრებელ რაიონს შორის მდებარე N26 ბინის (მშენებარე), ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომი, ვეფხისტყაოსნის ქ. N22-ში მდებარე N125 ბინის (მშენებარე) და ქალაქ თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქ. N58-ში მდებარე N22 და N112 ბინების (მშენებარე) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე საპრივატიზებო საფასურის სახით - სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე ბორის ნემსიწვერიძისა და სერგო ნაზაროვისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებლობის დასრულებით დაინტერესებულ პირთა საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, 2024 წლის 29 აპრილს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას წერილობითი განცხადებით მიმართეს ყიფშიძის ქ. N5ბ-ში რეგისტრირებული 122 კვ.მ ფართის თანამესაკუთრეებმა - ბორის ნემსიწვერიძემ და სერგო ნაზაროვმა და აღნიშნული ქონების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ ითხოვეს ზემოაღნიშნული ფართების საკუთრებაში გადაცემა შესაბამისი განაწილებით.

გიორგი კობიაშვილის განმარტებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 8 მაისის დასკვნით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე უძრავ ქონებაში 1 კვ.მ. ფართის (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, თეთრი კარკასის კონდიციით, 2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 3 903 ლარის ოდენობით. შესაბამისად, მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 476 166 ლარის ოდენობით.

მომხსენებლის მითითებით, თეთრი კარკასის მდგომარეობით შეფასდა ის ფართებიც, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა დაინტერესებული პირებისათვის სანაცვლოდ გადასაცემად. კერძოდ, ზემოაღნიშნული ფართების საბაზრო ღირებულება ჯამურად განისაზღვრა 474 675 ლარის ოდენობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გიორგი კობიაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წინამდებარე განკარგულების პროექტის წარმოდგენა, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, დაინტერესებული პირებისათვის საკუთრებაში გადაცემას და საპრივატიზებო პირობის სახით - მათ ფართზე საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პირველი პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული

რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

27. გიორგი კობიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეშვიდე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისში, ზესტაფონის ქ. N23ა-ში, პირველ სართულზე მდებარე 58 კვ.მ ფართობის N1 ბინის და ქალაქ თბილისში, ზესტაფონის ქ. N23ა-ში, პირველ სართულზე მდებარე 46.20 კვ.მ ფართობის N8 ბინის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე ლევან აჯიაშვილისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებლობის დასრულებით დაინტერესებულ პირთა საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, 2025 წლის 31 ოქტომბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წერილობითი განცხადებით მიმართა ყიფშიძის ქ. N5ბ-ში რეგისტრირებული 69.40 კვ.მ ფართის მესაკუთრემ - ლევან აჯიაშვილმა და აღნიშნული ქონების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ ითხოვა ზემოაღნიშნული ფართების საკუთრებაში გადაცემა.

გიორგი კობიაშვილის განმარტებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 8 მაისის დასკვნით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე უძრავ ქონებაში 1 კვ.მ. ფართის (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, თეთრი კარკასის კონდიციით, 2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 3 903 ლარის ოდენობით. შესაბამისად, მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 270 868.2 ლარის ოდენობით.

მომხსენებლის მითითებით, თეთრი კარკასის მდგომარეობით შეფასდა ის ფართებიც, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა დაინტერესებული პირისათვის სანაცვლოდ გადასაცემად. კერძოდ, ზემოაღნიშნული ფართების საბაზრო ღირებულება ჯამურად განისაზღვრა 269 253 ლარის ოდენობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გიორგი კობიაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წინამდებარე განკარგულების პროექტის წარმოდგენა, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, დაინტერესებული პირისათვის საკუთრებაში გადაცემას და საპრივატიზებო პირობის სახით - მის ფართზე საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პირველი პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

28. გიორგი კობიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამერვე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქ. თბილისში, აბანოს ქუჩა N11-ის მიმდებარედ 15 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შპს „ნარიყალასთვის" სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოსა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა თანახმად, ზემოხსენებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2025 წლის 27 ნოემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 600 ლარის ოდენობით;

გიორგი კობიაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 5 წელი;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - 600 ლარი.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების იჯარის ფორმით გადაცემის მიზნობრიობის მითითებისა და მესამე პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

29. გიორგი კობიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეცხრე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისში, ეკლესიის ქ. N1-ში მდებარე უძრავი ქონების ტერიტორიაზე 20 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, სატრანსფორმატორო ქვესადგურის (კონტეინერისმაგვარი ობიექტი) დროებით განთავსების მიზნით, შპს „გეოენერჯი-სერვის კომპანისთვის" იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურისა და ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა თანახმად, ზემოხსენებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება, იმ პირობით, რომ დაცული იქნება იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მოთხოვნები. ამასთანავე, თუ სამუშაოების წარმოების პროცესში საჭირო გახდება მწვანე ნარგავების სხვლა-ფორმირება ან/და გადაღებვა, დაინტერესებულმა პირმა შესაბამის უფლებამოსილ ორგანოში უნდა წარადგინოს ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა.

გიორგი კობიაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 4 თვე;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - სიმბოლური თანხა - 1 (ერთი) ლარი.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების იჯარის ფორმით გადაცემის მიზნობრიობის მითითებისა და მესამე პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

30. გიორგი კობიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეათე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქ. თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩა N23-ის მიმდებარედ 74 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შპს „ბიემესისთვის" სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა თანახმად, ზემოხსენებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება, იმ პირობით, რომ დაცული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" 35-ე მუხლის მოთხოვნები.

მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2025 წლის 2 დეკემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 17 760 ლარის ოდენობით.

გიორგი კობიაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 5 წელი;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - 17 760 ლარი.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მესამე პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული

რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

31. ნინო ვარდოსანიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეთერთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.**

ნინო ვარდოსანიძემ მოხსენების დასაწყისში ისაუბრა, რომ „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, 2026 წელს, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგო იზრდება 10%-ით და განისაზღვრება 1600 ლარის ოდენობით, აღნიშნულის გათვალისწინებით კი ცვლილება შედის „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ, დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივ სარგოსთან მიმართებით.

კომისიის თავმჯდომარის მიერ განიმარტა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია განხორციელდეს ამ ცვლილებების ასახვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში და დადგენილების მე-9 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საკრებულოს თითოეული წევრის მიერ ცალკეული დავალებების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული მოცულობა შეადგენს თვეში 5665 ლარს.

3. ხარჯების განსაზღვრა ხდება ამ თანხის ზღვრული მოცულობიდან:

ა) საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეებს უფლება აქვთ ფრაქციის თითოეულ წევრს აუნაზღაურონ ფრაქციაში მუშაობისთვის გაწეული ხარჯი არაუმეტეს 1276 ლარისა, თანახმად ფორმა N1-ისა;

ბ) საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეებს უფლება აქვთ კომისიის თითოეულ წევრს აუნაზღაურონ შესაბამის კომისიაში მუშაობისთვის გაწეული ხარჯი არაუმეტეს 1463 ლარისა, თანახმად ფორმა N2-ისა;

გ) საკრებულოს წევრს, რომელიც არ არის გაერთიანებული არცერთ ფრაქციაში ყოველთვიურად, საკრებულოს უფლებამოსილების ფარგლებში პოლიტიკური საქმიანობის განხორციელების, მოსახლეობასთან შეხვედრებისა და სხვა აქტივობების განხორცილებისთვის აუნაზღაურდეს გაწეული ხარჯი, არაუმეტეს 1276 ლარის ოდენობით თანახმად ფორმა №3-ისა;

დ) დარჩენილი 1463 ლარის საკრებულოს წევრზე გაცემის უფლება აქვს საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს წევრის საკრებულოს სხდომებზე დასწრების, განსახილველ საკითხებში მონაწილეობისა და ცალკეული დავალებების შესრულებისთვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.“

კომისიის თავმჯდომარის მიერ დამატებით ასევე აღნიშნული იქნა, რომ ცვლილება ასევე ხორციელდება საკრებულოს წევრების მიერ ცალკეული დავალებების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული მოცულობის ნაწილში და რედაქციული

ხასიათის ცვლილებას დაექვემდებარა რეგლამენტის 15[6] მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„1. წარმომადგენლობის ფუნქციონირებისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან საკრებულოსთვის განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში ყოველთვიურად გამოიყოფა 11 000 ლარი."

ნინო ვარდოსანიძემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებიდან გამომდინარე, საკრებულოს რეგლამენტში ხდება შესაბამისი ფორმულირებით მოცემული ცვლილებების ასახვა.

მოხსენების მიწურულს, ნინო ვარდოსანიძის მიერ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება 2026 წლის 1 იანვარი.

გადაწყვიტეს:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

32. ნინო ვარდოსანიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეთორმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2026 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტში ცვლილების შეტანას.**

მოხსენების დასაწყისში, კომისიის თავმჯდომარის მიერ აღინიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიხედვით განისაზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2026 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის ოდენობა.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მიხედვით, ფრაქციისთვის, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება 3 წევრით სახელფასო ლიმიტის ოდენობა განისაზღვრება 96 624 (ოთხმოცდათექვსმეტი ათას ექვსას ოცდაოთხი) ლარი (თვეში არაუმეტეს 8052 (რვა ათას ორმოცდათორმეტი) ლარი).

ნინო ვარდოსანიძის მიერ ასევე განიმარტა, რომ იმ ფრაქციისთვის, რომლის წევრთა რაოდენობა აღემატება 3 წევრს, ყოველ მომდევნო წევრზე ფრაქციის ყოველთვიური სახელფასო ლიმიტი დამატებით განისაზღვრება 2090 (ორი ათას ოთხმოცდაათი) ლარით, ხოლო ფრაქციის წლიური სახელფასო ლიმიტი - შესაბამისი პროპორციით.

კომისიის თავმჯდომარის მიერ ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ ყოველთვიურად გამოყოფილი თანხის სრულად აუთვისებლობის შემთხვევაში, ფრაქციის თავმჯდომარის მოთხოვნის საფუძველზე, დარჩენილი თანხა შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს შემდეგ თვეებში.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მესამე პუნქტის მიხედვით, ძალადაკარგულად გამოცხადდება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2024 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N723 განკარგულება.

მოხსენების მიწურულს, ნინო ვარდოსანიძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება 2026 წლის 1 იანვარი.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

33. ნინო ვარდოსანიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეცამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.**

კომისიის თავმჯდომარის მიერ აღინიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივ სარგოებში ხორციელდება ცვლილება.

ნინო ვარდოსანიძის მიერ განიმარტა, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის N5-8 დადგენილების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგო იზრდება, ვინაიდან „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, 2026 წელს, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგო გაიზარდა 10%-ით და განისაზღვრა 1600 ლარის ოდენობით.

კომისიის თავმჯდომარის მიერ ასევე ხაზგასმით იქნა აღნიშნული, რომ წარმოდგენილი ცვლილების მიზანია საკრებულოს თანამდებობის პირთა და პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების საკანონმდებლო ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანა, ასევე ოპტიმიზაციის მიზნით ხორციელდება რამდენიმე შიდა ტექნიკური ცვლილება, რითაც საშტატო რიცხოვნობა არ იცვლება.

მოხსენების მიწურულს, ნინო ვარდოსანიძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება 2026 წლის 1 იანვარი.

გადაწყვიტეს:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

34. ნინო ვარდოსანიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეთოთხმეტე საკითხად განსაზღვრული,** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მის მიერ **ინიციირების წესით** წარმოდგენილი **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **მისამართზე - ქ. თბილისი, ზურა მირაქიშვილის ქუჩა N31 (ყოფილი - ქ. თბილისი, გლდანის VII მიკრო/რაიონი, კორპუსი N6ბ-ს მიმდებარედ; გლდანის VII მიკრო/რაიონი, კორპუსი N15-ის მიმდებარედ) (საკადასტრო კოდი: N01.11.10.004.148) მდებარე ობიექტისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭებას.**

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, მ/წლის 2 და 11 დეკემბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი განცხადებებით მომართეს შპს „სექტორი 7“-ის დაზარალებულებმა და ითხოვეს ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ,,ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ (შემდგომში - „ტექნიკური რეგლამენტი“) 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მაღალი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე ობიექტისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც გამოიკვეთა წარმოდგენილი განცხადებებისა და მათზე თანდართული, დაზარალებულად ცნობის შესახებ თბილისის პროკურატურის დადგენილებების შესწავლის შედეგად და აღნიშნა, რომ:

- შპს „სექტორი 7“-ის წარმომადგენლებმა დაზარალებულ პირებთან გააფორმეს უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებები, რომელთა თანახმად, დაინტერესებულ პირებს შესაბამისი თანხის გადახდის სანაცვლოდ, საკუთრებაში უნდა გადასცემოდათ საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი დანიშნულების ფართები. კომპანიის მიერ არ შესრულდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
- დღეის მდგომარეობით, ობიექტის მშენებლობის სამუშაოები შეჩერებულია, შენობა-ნაგებობა დაზიანებულია და საცხოვრებლად გამოუსადეგარი, ხოლო დაზარალებულ პირთა უმრავლესობა იძულებულია იცხოვროს გაუსაძლის პირობებში.

მოხსენების მიწურულს, ნინო ვარდოსანიძემ შემაჯამებლად აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ შპს „სექტორი 7“-ის დირექტორის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებასა და საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილებას ელოდება ათეულობით ოჯახი, დაზარალებული პირები, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე ითხოვენ, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 59-ე დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების საფუძველზე მოხდეს მსჯელობა და ზემოაღნიშნულ ობიექტს მიენიჭოს დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსი, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს შემდგომში დაზარალებულთა დაკმაყოფილებას.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურისა და პირველი პუნქტის ტექნიკურად დაზუსტების რეკომენდაციაზე.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

35. ნინო ვარდოსანიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეთხუთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემას: **მისამართზე - ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი N9ა,ბ,გ (ამჟამად - ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი N9ა; მოსკოვის გამზირი N9ბ,გ) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში შპს „მეტი დეველოპმენტის“ და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ დაზარალებულ პირთა მიმართ არსებული ვალდებულებების შესრულების მიზნით,** ხელშემწყობი ღონისძიებების სახით, **თბილისის პროკურატურის მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული ინფორმაციის შესაბამისად, თანხის სახით კომპენსაციის გაცემაზე შემდეგი პირებისთვის:**

- გიორგი ლეკბორაშვილი - 19 738.6 ლარის ოდენობით;
- ეკატერინე ცერაძე - 4 740 აშშ დოლარის ოდენობით.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2025 წლის 23 სექტემბრის N397 განკარგულებით, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლის შესაბამისად, შპს „მეტი დეველოპმენტის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაზარალებულ პირთა განცხადებების გათვალისწინებით, დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსი მიანიჭა მისამართზე - ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი N9ა,ბ,გ არსებულ სამშენებლო ობიექტს, რომლის საფუძველზეც დაზარალებულ პირთა ნაწილის მიმართ (ვინც წარმოადგინა სათანადო, სრულყოფილი დოკუმენტაცია) უკვე განხორციელდა თანხის სახით კომპენსაცია.

როგორც ნინო ვარდოსანიძემ აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას თანხის სახით კომპენსაციის მიღების მიზნით განცხადებით და ნოტარიული წესით დამოწმებული თანხმობით მიმართეს გიორგი ლეკბორაშვილმა და ეკატერინე ცერაძემ, რომლებიც უარს აცხადებენ რაიმე მოთხოვნაზე, როგორც შპს „მეტი დეველოპმენტის" და მასთან აფილირებული კომპანიების, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ, თუ მათ მიმართ ვალდებულება შესრულდება თანხის სახით, იმ ოდენობით, რაც დადგენილია და/ან დაზუსტებულია თბილისის პროკურატურის მიერ.

მომხსენებლის მითითებით, თბილისის პროკურატურის მიერ 2025 წლის 17 დეკემბრის წერილით წარმოდგენილი დაზუსტებული ინფორმაციის თანახმად, გიორგი ლეკბორაშვილის მიმართ არსებული ზიანის ოდენობა შეადგენს 19 738.6 ლარს, ხოლო ეკატერინე ცერაძის მიმართ 4 740 აშშ დოლარს

მოხსენების მიწურულს, ნინო ვარდოსანიძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულისა და კომისიის დადებითი რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია წინამდებარე საკითხის შესათანხმებლად წარმოდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტსა და მე-3 პუნქტში ტექნიკური ხასიათის ხარვეზების გასწორების რეკომენდაციებზე.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე	ნ. ვარდოსანიძე	ნინო ვარდოსანიძე
სხდომის მდივანი	ნ. დანელიშვილი	ნინო დანელიშვილი